საზოგადოებრივი ადვოკატი

#2 / 2021

საზოგადოებრივი
აღვოკატი
ISSN 2667-9639
#2 / 2021

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი
რაჟდენ კუპრაშვილი

რედაქტორი
ბიძინა მაყაშვილი

რედაქტორის მოადგილე
ნინო ჩუტკერაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გოგა დავთიანი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო მელაძე
სულხან გველესიანი
ზაზა ჯღარკავა
ლეილა ბერიშვილი
მარიამ ბერიძე
ალექსანდრე სხულუხია

იურიდიული დახმარების სამსახური

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 140 ა
ტელ: 032 293 20 90 / 032 398 84 93
www.legalaid.ge

სარჩევი

3 რედაქტორის სვეტი
4 დეკლარაცია
12 მომავალი არის დღეს
16 სოციალური პოლიტიკა ევროპაში
22 გზა ევროკავშირისკენ
28 მედიცინა და კანონმდებლობა
33 საერთაშორისო დაცვა
38 შრომის უსაფრთხოება და უფლებები
42 პირობითი მსჯავრის მიზნები
47 ფოტოამბები
50 ოკუპაციას გადარჩენილი განძი
58 ხამურაბის კანონები
64 წერილიც & სიხარულიც
65 იუმორი
66 დაგვიკავშირდით

რედაქტორის სვეტი

მოხარული ვარ, რომ ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატის“ უკვე მეორე ნომერს იხილავს ფართო საზოგადოება. ჟურნალი გლობალური პანდემიის დროსა და გარემოში იშვა. მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო – სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო თუ სპორტული შეიცვალა და გლობალურმა პანდემიამ კაცობრიობას ცხოვრების სულ სხვა წესები დაუდგინა. ცხადია, აღნიშნულმა მოვლენებმა ადამიანის უფლებების დაცვაზეც თავისი გავლენა მოახდინა. გარკვეული გამოწვევები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებითაც კი შეიქმნა.

სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იურიდიული შინაარსის ჟურნალის არსებობას, რომელიც ქმნის სივრცეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი თემების განხილვისთვის და მოსაზრებების ურთიერთგაცვლისთვის. თემები, რომელსაც ჟურნალში გთავაზობთ, ისევ და ისევ ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.



ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში, ადამიანის უფლებების და თავისუფლების შეზღუდვის კლასიკური მაგალითია ამ ქვეყნის ოკუპაცია აგრესორი სახელმწიფოს მიერ. ამ მხრივ, საქართველოს მწარე გამოცდილებიდან, 1921 წლის 25 თებერვლიდან, 100 წელი გავიდა. რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალამა დაპყრობამ სრულად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და ხალხის ბედი. ჟურნალში წაიკითხავთ საინტერესო ამბავს ქართული განძის „მოგზაურობაზე“ და ერთი ადამიანის თავგანწირულ ერთგულებაზე სამშობლოს მიმართ, რომელიც უმთავრესი ღირებულებაა, რა დრო და ჟამიც არ უნდა იდგეს.

მოხარული ვარ, რომ საზოგადოებრივი ადვოკატები აქტიურად ჩაერთნენ ჟურნალის ამ ნომრის მომზადებაში და მათი მოსაზრებები მათსავე პირად გამოცდილებას ეყრდნობა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ათასობით ადამიანის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი, გადახდისუუნარო მოქალაქეების ცხოვრებაში უაღრესად დადებით როლს თამაშობს.

პანდემიას ერთი დადებითი მხარე მაინც აქვს – ასე თუ ისე, იძულებული ვართ განვმარტოვდეთ და რაიმე საინტერესო წავიკითხოთ.

ჰოდა, ინებეთ: „საზოგადოებრივი ადვოკატის“ მეორე ნომერი!

რაჟდენ კუპრაშვილი

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

ზაზა ჯღარკავა

დეკლარაცია



ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი

> *„ერთადერთი სტაბილური მდგომარეობა არის ის, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.“*
> არისტოტელე

„ერთადერთი სტაბილური მდგომარეობა არის ის, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე“ – 25 საუკუნის წინ არისტოტელეს მიერ წარმოთქმული ეს ფრაზა დღემდე არ კარგავს აქტუალობას და მთავარ ორიენტირად რჩება მსოფლიოს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც კანონის წინაშე თანასწორობა ქვეყნის მთავარი დოკუმენტით – კონსტიტუციითა გამაგრებული.

სწორედ არისტოტელეს 25 საუკუნის წინ წარმოთქმული წინადადებით იწყება იურიდიული დახმარების სამსახურის ის დეკლარაციაც, რომელსაც 11 ივნისს, სასტუმრო „თბილისი-მერიოტში“ მოეწერა ხელი და რომელიც ქვეყნის მასშტაბით დაწყებული მოძრაობის – „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ – სულისკვეთებას გამოხატავს.

მოძრაობა „ვაქციოთ კანონი მოქმედი ყველასთვის“ მომზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით და იგი ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის (Council of Europe

Office in Georgia) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID-PROLoG – Promoting Rule of Law in Georgia Activity) მხარდაჭერით ხორციელდება.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, რაჟდენ კუპრაშვილმა, პარტნიორი უწყებების წა რმომადგენლებს გააცნო ის მთავარი საფუძვლები, რომელმაც გამოიწვია პროექტის – „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ – საჭიროება. დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ პრეზენტაციის ფარგლებში წარადგინა აქტივობების გეგმა, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახური დეკლარაციაზე ხელმომწერი უწყებების და დონორთა მხარდაჭერით განახორციელებს.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ინიცირებულ მოძრაობას შეუერთდნენ და დეკლარაციაზე ხელი მოაწერეს იუსტიციის სამინისტროს, მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, რეგიონული მმართველობის დეპარტამენტის, სახელმწიფო ინსპექტორის, ადვოკატთა ასოციაციის, მედიატორთა ასოციაციის მთავარმა პირებმა და სახალხო დამცველმა.

დაგეგმილია 60-მდე საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. პროექტის მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა აქტუალურ სამართლებრივ საკითხზე მათთვის ინფორმაციის მიწოდებით, ადგილზე კონსულტაციების გაწევითა და პრეზენტაციების წარდგენით.

საინფორმაციო შეხვედრების თემატიკა განისაზღვრება პარტნიორებთან თანამშრომლობით და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგადი საკითხები მოიცავს არასრულწლოვანთა უფლებებს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას, მიწის რეგისტრაციას, სოციალურ საკითხებს, ჯანდაცვას, განათლებას, პერსონალურ ინფორმაციებს, დასაქმებას, ნაფიც მსაჯულებს და სხვა.

ნოემბრის ბოლოს დეკლარაციაზე ხელმომწერები კვლავ შეიკრიბებიან და რეგიონებში გასვლის 6-თვიანი მუშაობის შედგებს შეაჯამებენ. ასევე იმსჯელებენ 2022 წელს პროექტის გარძელების სამომავლო გეგმებზეც, რათა კანონი კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადონ ყველასათვის.

რაჟდენ კუპრაშვილი,
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

– კანონის უზენაესობა არის მხოლოდ მაშინ, თუ კანონი არის მოქმედი და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამ დროს მოქალაქის სამართლებლივი ცნობიერების ამაღლება არის ძალზედ მნიშვნელოვანი. იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი არის უფასო სამართლებლივი კონსულტაციის გაწევა ნებისმიერი მოქალაქისთვის. ამავდროულად ჩვენ ვახორციელებთ საადვოკატო მომსახურებას სახელმწიფოს ხარჯზე და გარკვეულწილად ჩვენი საქმიანობის მიმართულება შეიცავს მოქალაქეების სამართლებლივი ცნობიერების ამაღლებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი ახალი პროექტი „ვაქციოთ კანონი ხელმისაწვდომი“ მაინც განსხვავებული და რაც მთავარია, მასშტაბურია. ამ მასშტაბურობას განაპირობებს პროექტში მონაწილე სხვადასხვა უწყებების და ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც მაშინვე დათანხმდნენ ჩვენ შეთავაზებას. ჩვენი არჩევანი არ არის შემთხვევითი: ასეთი მიდგომა ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთ რეგიონებისთვის, სადაც ინფრასტრუქტურის გამო, გადაადგილების გამო, ეკონომიური მდგომარეობის გამო, ბევრი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი არ არის ან გართულებულია სხვადასხვა უწყებების, სხვადასხვა ორგანიზაციების მომსახურება.

ჩვენი მიზანია, უფრო დეტალურად ავუხსნათ საქართველოს ყველა მოქალაქეს მათი სამართლებლივი უფლებები, რაც თანმიმდევრულად მიგვიყვანს ჩვენს საბოლოო მიზნამდე – გავხადოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი.

თანასწორობა და ღირსეული ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებებში, როდესაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არამხოლოდ აღიარებულია, გაცხადებულია კონსტიტუციით და კანონებით, არამედ არის მოქმედი, პრაქტიკული და ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

საზოგადოება, რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული ის სამართლებლივი განზომილება, რომელშიც ის ცხოვრობს, მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს უფლებები და მოახდინოს მათი რალიზაცია. ეს ფაქტობრივად მათთვის ამ უფლებების არარსებობას უთანაბრდება.

პირველ ეტაპზე ჩვენ მიზნად ვისახავთ, რომ მოძრაობა ხელმისაწვდომი იყოს მოწყვლადი ჯგუფებისათვის. ესენი არიან ქალები, ბავშვები, ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ასევე აქცენტი გაკეთებულია სოფლად და მაღალმთიან ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობაზე, იქიდან გამომდინარე, რომ სამართლებლივი ცნობიერება უფრო მაღალია იმ ადგილებში, სადაც რესურსები არის ხელმისაწვდომი, მათ შორის სმარტ ტექნოლოგიები. ასევე სამიზნე ჯგუფია იძულებით გადაადგილებული პირები, დევნილები, თუმცა ჩვენი მოძრაობა არ არის მიმართული მხოლოდ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე და მიზნად ისახავს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის უფლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

მთელი საკითხი გადატანილია თითოეული ჩვენი მოქალაქის ინტერესზე, მისი კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვაზე, სწორად რეალიზაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, გაზრდის ცნობიერებას, ხელს შეუწყობს სამართლებლივი ცნობიერების გაზრდას, ასევე მათივე უფლებების უფრო სათანადოდ დაცვას და გამოვლენას დარღვევების მიმართულებით. განსაკუთრებით აქტუალური საკითხები რა თქმა უნდა, არის იგივე ოჯახში ძალადობა, ბავშვთა უფლებები, მათი საკუთრებასთან უფლებები, და კარგია, რომ ჩვენ ასე კონსოლიდირებულად ვიღებთ ამაში მონაწილეობას.

ჩვენმა მოქალაქეებმა, მიუხედავად მათი ქონებრივი, სოციალური, თუ სხვა მდგომარეობისა, თუ გაჭირვებისა, თუ პრობლემებისა, უნდა მიაღწიონ თავიანთ უფლებათა ეფექტურ რეალიზაციას კვალიფიციური იურიდიული მრჩევლის ადვოკატის დახმარებით, რათა მათ არ იგრძონ თავი, რომ ისინი სამართალში, მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში რაიმენაირად დაიჩაგრნენ და უფრო ძლიერმა, უფრო მდიდარმა თუ გავლენიანმა მხარემ მოახერხა მათი, ასე ვთქვათ, სამართლებლივი დაჩაგვრა.

ნინო მელაძე,
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე

– მოძრაობა, „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ ემსახურება მიზანს, რომ გაძლიეროს მოქალაქეთა უნარი თავად, საკუთარი გადაწყვეტილებით და სრულიად შესაბამისად განკარგონ საკუთარი ცხოვრება, თავისუფლება და ეფექტურად მოაგვარონ ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხები და მათ შორის, აქტიურად იყვნენ ჩართულნი, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე ქვეყნის განვითარებაში. ზოგადად, ადამიანის უფლებების აღიარების და გაცხადების იდეა არის საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრება და შესაბამისად, ერთ-ერთი საკითხი, რაც ამ მოძრაობის დროს იქნება გაჟღერებული, ეს არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, დავის მოგვარების მშვიდობიანი გზების შესახებ

ინფორმაციის მიწოდება, რათა ადამიანებმა შეძლონ თავიანთი ძალისხმევით, მშვიდობიანად გადაწყვიტონ არამარტო სამართლებლივი, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემები.

დავით ასათიანი,
ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი

– მრავალმა ჩვენმა მოქალაქემ ხშირ შემთხვევაში არ იცის, თუ რა კანონიერი უფლებები აქვს. როგორ და რა მექანიზმებით შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი, ეს საზოგადოების მართლმსაჯულებრივი შეგნების გარკვეული ხარვეზია. ამაზე მუშაობს, დარწმუნებული ვარ, არაერთი ორგანიზაცია, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. შესაბამისად, არასდროს არის გვიან ძალისხმევის გაერთიანება და პირიქით. ამ შემთხვევაში მხოლოდ მივესალმებით საზოგადოებრივი ადვოკატების წამოწყებას. მართლმსაჯულება არ უნდა იყოს ელიტური საზოგადოების, პოლიტიკოსების თუ ბიზნესმენების ფუფუნების საგანი. სწორედ ჩვენი თითოეული მოქალაქე უნდა იყოს მთავარი ფოკუსი მთელი რეფორმებისა, რაზეც არაერთი წელია ვლაპარაკობთ, მართლმსაჯულებაში უფლებების დაცვის თვალსაზრისით და საერთო ჯამში, ამ ადამიანებზე უნდა აისახოს ყველა შედეგი და წარმატება, რაც მოყვება ამ რეფორმას. ადვოკატთა ასოციაციაში გაერთიანებულია 5000 კვალიფიციური ლიცენზირებული ადვოკატი საქართველოს მასშტაბით. მზად ვართ, აქტიურად ჩავერთოთ მთელი ჩვენი რესურსებით ამ პროექტში და დავუჭიროთ ამ ინიციატივას მხარი.

ნინო ლომჯარია,
სახალხო დამცველი

– ჩვენი პრაქტიკა ადასტურებს, თუ როგორ რადიკალურად და პოზიტიურად შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცხოვრება თუნდაც ერთ სწორ სამართლებლივ კონსულტაციას საკუთარი უფლებების თაობაზე. ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით ხოლმე ასეთ პოზიტიურ მაგალითებს. ის თემები, რაც იქნა იდენტიფიცირებული, სახალხო დამცველისთვის პრიორიტეტული არის. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, ქალები, ბავშვები, ეთნიკური უმცირესობები, სოციალურად დაუცველები – ეს არის სფეროები, სადაც სახალხო დამცველს აქვს განსაკუთრებული ექსპერტიზა და ასევე ინფორმაცია მათი საჭიროებების შესახებ, იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი რეგიონალური ოფისების მეშვეობით უფრო აქტიურად ვავლენთ მათ საჭიროებებს და ასევე ჩართულები ვართ იურიდიული კონსულტაციების გაწევაშიც. შესაბამისად, ჩვენი ექსპერტები და მთლიანად სახალხო დამცველის ინსტიტუტი დიდი სიამოვნებით ჩაერთვება ამ პროექტში.

ლონდა თოლორაია,
სახელმწიფო ინსპექტორი

– ჩვენ, ზოგადად, სახელმწიფო უწყებები ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ვახორციელებთ, თუმცა იმ ფორმით და ძალთა ასეთი გაერთიანებით, რაც საზოგადოებრივ ადვოკატთა სამსახურმა შემოგვთავაზა, იქნება კიდევ უფრო ეფექტური და რაც მთავარია, გავალთ გაცილებით უკეთეს შედეგებზე, ვიდრე ამას ვაკეთებდით და ვაკეთებთ ცალ-ცალკე. ეს მასშტაბები, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია, რადგან აქამდე ჩატარებული იურიდიული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები კონცენტრირებული იყო უფრო ცენტრალურ ქალაქებზე და რეგიონებზე და ძალიან სასიხარულოა, რომ გვაქვს საკმად დიდი სია, სადაც ვაპირებთ ჩასვლას. ჩვენ შემოგიერთდებით აბსოლუტურად ყველგან. პირადადაც ჩავერთვები რამდენიმე მათგანში, რადგან პირველი პირების ჩართვა იურიდიული ცნობიერების ამაღლების კამპანიაში ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ სამსახურში არიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩები საქართველოს ყველა რეგიონში, 20 სტუ-

დენტი, ვფიქრობ, რომ შესაძლებელი იქნება მათი ჩართვაც ამ კამპანიაში. პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მონიტორინგი მაინც ახალი საკითხია ქართულ რეალობაში, ამიტომ ყოველი ასეთი კამპანიის წამოწყება ჩვენთვის არის ახალი შესაძლებლობა ჩვენი საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად გასახორციელებლად. დარწმუნებული ვარ, ამ პროექტის ბოლოს, როცა გავზომავთ შედეგებს, ვიტყვით, რომ ეს იყო ძალიან სწორი პროექტი, რომელიც დავიწყეთ.

თორნიკე ჭეიშვილი,
იუსტიციის მინისტრის მოადგილე

– მე პირადად მაქვს გამოცდილება მსგავს პროექტებში მონაწილეობისა და ზუსტად ვიცი ის დიდი აღფრთოვანება, რომელიც ადგილზე დახვდება ამ პროექტის მონაწილეებს იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ორმხრივი აღმოჩენების პროცესი. იმიტომ რომ, ადგილობრივი საზოგადოება ყოველთვის ძალიან დიდი ენთუზიაზმით ელოდება ასეთი ტიპის აქტივობებს და ვფიქრობ, რომ საკმაოდ ზუსტად და რაც მთავარია, დროულად მოხდა ამ ღონისძიებათა ციკლის დაგეგმვა.

ეს ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებში გაემგზავრებიან, იქნებიან მართლაც ელჩები მშვიდობის, განვითარების, სამართლიანობის და განუზომლად მნიშვნელოვანი იქნება ის წვლილი, რომელსაც შეიტანენ ადგილობრივი საზოგადოებების განვითარებაში ადგილებზე დემოკრატიული პროცესების კონსოლიდაციის მიმართულებით.

ირაკლი ხანდაშვილი,
მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე

– თქვენი პროექტი ორმაგად საინტერესოა მედიატორებისთვის გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ პროექტის სახელწოდება – „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ – დღეს დიდი გამოწვევაა მედიაციის წინაშე. პრობლემად კვლავ რჩება იურიდიული ცნობადობა დავების გადაწყვეტისას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გაკეთდა, დღესაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ამ მიმართულებით წარმოდგენა არ აქვს შექმნილი. იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან წამოსულ ინიციატივას მედიატორთა ასოციაცია, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით შემოუერთდება, როგორც დეკლარაციაზე ხელმოწერით, ასევე შემდგომ სხვადასხვა ეტაპებზე მჭიდრო თანამშრომლობის კუთხით. საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ ზოგადად კანონი მართლაც ხელმისაწვდომია ყველასთვის, უნდა იცოდეს, რომ არსებობს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები, რომ კანონი არის საკმაოდ მძლავრი ინსტრუმენტი საკუთარი უფლებების საკუთარი ხელით რეალიზებისა და საკუთარი ხელით საკუთარი ხვალინდელი დღის დარეგულირებისა; მშვიდობიანად, ნაკლები დანახარჯით და კეთილგონივრული რეალობის ხარჯზე, ინტერესზე მორგებული შეთანხმების მიღწევის გზით.

მაკა ბერაძე,
მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნოს ხელმძღვანელი

– როგორც არ უნდა განვითარდეს თანამედროვე ტექნოლოგიები, ვფიქრობ, რომ პირისპირ შეხვედრას ალტერნატივა არ აქვს. იმიტომ, რომ პირისპირ შეხვედრა რამდენიმე მიმართულებით არის ბენეფიტის მომტანი. ერთი, რომ თვითონ მოსახლეობისთვის ინფორმაცია ხდება ხელმისაწვდომი იმ სამართლებლივი მექანიზმების შესახებ, რომლითაც მათ შეუძლიათ დაიცვან საკუთარი უფლებები, მეორეს მხრივ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც ჩადიან ადგილებზე, აქვთ საშუალება ამ ადმიანების პრობლემებზე მიიღონ პირდაპირი ინფორმაცია და მესამე მიმართულება, რომელიც ვფიქრობ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის სამართლებლივი კულტურის მიმართულებით ისეთ მგრძნობიარე თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, გენდერული თანასწორობა, ბავშობის ასაკში ქორწინება და ასე შემდეგ; ამ თემებზე ამ ადამიანების ინფორმირება და იურიდიული პასუხისმგებლობის გაღვივება. ეს კი პირდაპირი ხელშემწყობია იმ პოლიტიკის იმპლემენტაციის, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს.

თეიმურაზ შეყლაშვილი,
მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

– სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ამ მნიშვნელოვან პროექტს და ყველანაირ თანადგომას გპირდებით როგორც რეგიონების ხელმძღვანელებთან, გუბერნატორებთან, ასევე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან. მზად ვარ, ვიყო მეგზური და შუამავალი პროექტის მსვლელობისას წარმოქმნილი შესაძლო პრობლემების მოგვარებაში.

ირინა ლორთქიფანიძე,
USAID PRoLog-ის წარმომადგენელი

– მართლაც უპრეცედენტოა, როდესაც ამდენი უწყება ერთობლივად იღებს მონაწილეობას ერთ კონკრეტულ პროექტში და მათი ყველას საზრუნავი ჩვეულებრივი ადამიანია. მართმსაჯულება, იურიდიული პროფესია და იურიდიული დახმარება ორიენტირებული უნდა იყოს

ადამიანზე, სწორედ ასეთი მიდგომა აკეთილშობილებს ამ პროცესს და ხდის მას უფრო დემოკრატიულს. სასიხარულოა, რომ პროცესში იურიდიული დახმარების საბჭოში წარმოდგენილი ორგანიზაციების გარდა, მონაწილეობენ სახელისუფლო სტრუქტურებიც, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდება.

ბექა ჯიქია,
ევროსაბჭოს ოფისი საქართველოში

– საერთაშორისო მხარდაჭერის პროექტებში ხშირად ისმის ასეთი შეკითხვა – რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი როლი, ის ინსტიტუციური მხარდაჭერა, რასაც ჩვენ ვუწევთ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს, საზოგადოებისთვის უფრო ნათელი და ხილვადი გახდეს? ჩემი აზრი ამასთან დაკავშირებით არის ის, რომ მეტი ბენეფიტი, სარგებელი უნდა მოვუტანოთ უშუალოდ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი ყოველდღიური პრობლემები. თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაშინ საერთაშორისო მხარდაჭერის აღქმა მოქალაქეებში უფრო ნათელი იქნება. პირადად ჩემი გადმოსახედიდან, ამ პროექტში ევროპული კონტრიბუცია სწორედ ამ მიმართულებას ითვალისწინებს. ჩვენ ვეხმარებით უშუალოდ მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ იურიდიული პრობლემა ან მსგავსი პრობლემა შეიძლება გამოუჩნდეთ მომავალში. პროექტი იმდენად მასშტაბურია და იმდენ რეგიონს მოიცავს, რომ შეუძლებელია, გარკვეული შედეგები არ დავინახოთ და არ გამოჩნდეს თუნდაც სტატისტიკურ მონაცემებში, თუ ამ შედეგების მიღწევას შევძლებთ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, შედეგების მონიტორინგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ამ პროექტის მიზნის მიღწევაში.

მომავალი არის დღეს!

ნინო ჩუტკერაშვილი

იურიდიული დახმარების სამსახურის
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

30 სექტემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“.

საქართველოში პირველად იწყება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული მომსახურების სფეროში

იურიდიული დახმარების სამსახური არის პირველი უწყება საქართველოში, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობაში, იურიდიული კონსულტაციების გაცემისას ხელოვნურ ინტელექტს გამოიყენებს. ინოვაციური სერვისი, რომელიც უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაში დაინერგება, მნიშვნელოვნად გაზრდის ხელმისაწვდომობას იურიდიულ დახმარებაზე და დაზოგავს ბენეფიციართა დროს.

პროგრამა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შემუშავდება, სამსახურის ვებგვერდზე ჩაშენდება და საშუალებას მისცემს მომხმარებლებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან მიიღონ იურიდიული დახმარება. აღნიშნული სერვისი განსაკუთრებით გააიოლებს ხელმისაწვდომობას სამართლებრივ დახმარებაზე უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის, ხოლო უცხოელებს, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობენ, შეუძლიათ კონსულტაცია მიიღონ ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ხელოვნურ ინტელექტის პროგრამის შექმნაში ეხმარება პლატფორმა https://www.knowledgetools.de, რომელიც ასევე პირველია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მისი დახმარებით ხელოვნური ინტელექტი წარმატებით დაინერგა ბუნდესტაგისა და გერმანიის რამდენიმე სამინისტროს სერვისებში.

ამასთან დაკავშირებით, 30 სექტემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“. კონფერენციის დევიზი იყო „მომავალი არის დღეს“, რაც გულისხმობს სამეცნიერო მიღწევების, ინოვაციების დანერგვის პროცესის დაჩქარებას ჩვენს ყოველდღიურობაში.

კონფერენციას ესწრებოდნენ ადგილობრივი და საერთშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელები, დონორები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისების მიწოდების გაუმჯობესების საქმეში.

კონფერენციაზე ონლაინ რეჟიმში გერმანიიდან ჩაერთნენ კომპნია „ნოულიჯ თულს ინთერნეიშენალის“ (Knowledge Tools International) დამფუძნებელი თილო ვენდი, სამართლის ინჟინერი ოსკარ ფონ კოსელი, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმის პროგრამა მიმოიხილა შტეფან ბრაიდენბახმა, ხოლო პროგრამის პრაქტიკული პრეზენტაცია წარადგინა ლადო სირდაძემ.

ხელოვნური ინტელექტის გარკვეული გამოწვევების წინაშეც გვაყენებს და გამოწვევების

> კონფერენციის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს იურიდიული დახმარების სამსახურს ინოვაციური პროექტის განხორციელებაში.

დაძლევაშიც გვეხმარება. იურიდიული დახმარების სამსახური წელიწადში საშუალოდ 30 ათას კონულტაციას გასცემს. მათი უმეტესობა ზეპირი კონსულტაციაა. სწორედ ჩვენი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ინერგება ინოვაციური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა კონსულტაციები გაიცეს წერილობით, გარდა „ცხელი ხაზის“ სატელეფონო კონსულტაციებისა. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვის საშუალებით, სამსახურის იურისტ-კონსულტანტებს ან უშუალოდ პროგრამას, საშუალება ექნება რამდენიმე წამში გასცეს წერილობითი კონსულტაცია. გარდა დაზოგილი რესურსებისა, სამსახურს ექნება განზოგადებული მიდგომა გაწეული კონსულტაციების მიმართ, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გაწეული კონსულტაციების ხარისხის უზრუნველყოფას.

კონფერენციის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა აღუთქვეს იურიდიული დახმარების სამსახურს ინოვაციური პროექტის განხორციელებაში. კონფერენციის მონაწილეებმა სამსახურს ინოვაციების სფეროში „პირველი მერცხალი“უწოდეს, რადგან იგი სწორედ პირველია საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან, რომელიც აქტიურად გამოიყენებს ხელოვნურ ინტელექტს თავის სერვისებში. სამართლის ინჟინრები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული პროექტი აღმოჩნდება სხვებისთვის მისაბაძი, გადამდები მაგალითი და მალე სხვა უწყებებიც აქტიურად ჩაერთვებიან ხელოვნური ინტელექტის დანერგვაში. საბოლოო ჯამში კი ბენეფიციარები, შემცირებული ბიუროკრატიის პირობებში, მაღალი ხარისხის, კვალიფიკაციის სერვისს მიიღებენ და დაზოგავენ დროს, ენერგიას.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს 2021 წლის
თებერვლის თვიდან ახალი ლოგო აქვს.
ლოგო მოწონებული და დამტკიცებულია ჰერალდიკის
სახელმწიფო საბჭოს მიერ.

იურიდიული დახმარების სამსახური

სსიპ იურიდიული სამსახურის ემბლემის აღწერილობა:

ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრული ჰერალდიკური ფარის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჰერალდიკური ფარი არშიით. მცირე ფარის ვერცხლის ველის ზედა ნახევარზე დატანილია საქართველოს სახელმწიფო დროშის მეწამული ხუთჯვრიანი გამოსახულება, ხოლო ქვედა ნაწილში კლასიკური სვეტის მეწამული სტილიზებული ფიგურა.

სუღხან გვეღესინი

იურიდიული დახმარების
სამსახურის დირექტორის
მოადგილე

სოციალური პოლიტიკა ევროპაში

შედარებითი ანალიზი

1 შესავალი

სოციალური სამართლიანობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღევანდელი დემოკრატიული მმართველობებისთვის. მეტიც, სოციალური სამართლიანობა შედის თითქმის ყველა პოლიტიკური აქტორის განსახორციელებელი ქმედებების სიაში. საქმე ის არის, რომ სოციალური სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს და ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, თუ რა არის სამართლიანი და რა არა.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სამართლიანობა დღეს აღიქმება და განიმარტება იმგვარად, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ღარიბ და დაუცველ მოსახლეობაზე. თუმცა საკამათოა იმის განსაზღვრა, თუ ვინ არიან ის ადამიანები, ანუ დაუცველები, ვისაც საზოგადოების და სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება. აღნიშნული დეფინიციის პრობლემა ნათლად ჩანს ქართულ რეალობაშიც. ხშირად ვხვდებით შემთხვევებს სოციალური შემწეობის მოხსნასთან დაკავშირებით, რომელიც არასამართლიანად აღიქმება ხოლმე საზოგადოებაში.

სოციალური სამართლიანობის ტერმინის ბუნდოვანებამ გამოიწვია, სავარაუდოდ, საყოველთაო დაზღვევის რეფორმაში ბოლო წლებში შესული ცვლილებები. როგორც ვიცით, საწყის ეტაპზე საყოველთაო დაზღვევა განკუთვნილი იყო საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა. იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დახმარება ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სერვისია, ცხადია თავიდანვე ნათელი იყო, რომ განვითარებადი ქვეყნისთვის, უფასო ჯანდაცვით მოქალაქეების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერიოდში ფინანსურად რთული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნული სერვისის უფასოდ მიწოდება არ ხდება ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა, მაგალითად, გერმანიის ფედერაცია.

2
ისტორიული საფუძვლები

2.1. რომის ანტიკური ხანა

სოციალური პოლიტიკა ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს სათავეს. რომში არსებობდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რომელიც ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და ის ყველა რომაელისთვის ხელმისაწვდომი იყო. ღარიბი მოსახლეობის მხარდასაჭერად, ჯერ კიდევ გაიუს გრაჩუსის (153-121 ქრისტეს შობამდე) დროს შეიქმნა კანონი ხორბლის ფასების რეგულაციის შესახებ, რომელიც რომის მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, შეღავათიან ფასებში, სახელმწიფოს თანადაფინანსებით მიეღოთ ხორბალი. *1 უფრო მოგვიანებით კი, რომის ღარიბ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა მიეღო უფასო პური. მეტიც, რომში არსებობდა ოჯახების დახმარების პროგრამა, რომლის მიხედვითაც ღარიბ ოჯახებს და ბავშვებს სახელმწიფო ეხმარებოდა. ღარიბი მოსახლეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამებთან ერთად, ძველ რომში არსებობდა სპეციალური ფონდები, სადაც მოსახლეობას ნებაყოფლობით შეჰქონდა შენატანები და რომელიც განკუთვნილი იყო მძიმედ ავადმყოფი მოსახლეობის დახმარებისთვის, ისევე, როგორც დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებისა და გარდაცვლილის ოჯახის დახმარებისთვის.

2.2. ჩინეთი

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნეში, ჩინეთში არსებობდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დახმარება. მართალია, სამედიცინო დახმარება პირველ ეტაპზე მხოლოდ დიდ ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას შეეძლო მიეღო, თუმცა ქრისტეს შობამდე პირველ საუკუნეში, იგი ხელმისაწვდომი გახდა მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა ასევე მოიცავდა სამედიცინო განათლების მიღების შესაძლებლობასაც, რომელიც ქრისტეს შობიდან V საუკუნეში ხელმისაწვდომი იყო ყველა სამედიცინო აკადემიაში, ისევე, როგორც ჩანგის სამეფო უნივერსიტეტში. *2

2.3. სოციალური პოლიტიკა შუასაუკუნეებში და ინდუსტრიული და ფრანგული რევოლუციის მნიშვნელობა

შუასაუკუნეების ევროპაში სოციალური პოლიტიკა ძირითადად ხორციელდებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ. კათოლიკური ეკლესიის წიაღში მოწყობილი იყო თავშესაფრები და ჰოსპიტლები, რომელიც დახმარებას უწევდა ღარიბებს, მოხუცებს და ქვრივებს. ევროპული ქვეყნების განვითარებასთან ერთად მე-14 საუკუნიდან არსებობდა სპეციალური სახელმწიფო ფონდები, რომელიც ქვეყნის ღარიბი მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი.*3

მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალური პოლიტიკის მიმართულებით იწყება მე-18 საუკუნიდან, რომელიც პირდაპირ კავშირშია ინდუსტრიულ და ფრანგულ რევოლუციებთან. ინდუსტრიული რევოლუცია ეკონომიკური ხასიათისაა და იგი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ბრიტანეთიდან დაიწყო, რომელიც შემდგომ საფრანგეთში, გერმანიაში და მთელს ევროპაში გავრცელდა. ინდუსტრიულ რევოლუციას უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვან გამოგონებებს, როგორიცაა, მაგალითად, ორთქლზე მომუშავე ძრავი, მექანიკური საქსოვი მანქანა და ა.შ.

*1 Michael Henkel, Sozialpolitik in Deutschland und Europa, S. 13
*2 Michael Henkel, Sozialpolitik in Deutschland und Europa, S. 13
*3 Michael Henkel, Sozialpolitik in Deutschland und Europa, S. 15

რაც შეეხება ფრანგულ რევოლუციას, იგი მე-18 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში დაიწყო, რომელიც პოლიტიკური ხასიათისაა და რომელიც საფუძვლად დაედო ფეოდალური სახელმწიფო მოწყობების ნგრევას და ადამიანის უფლებების, როგორც ღირებულებების, ჩამოყალიბებას.

საფრანგეთის რევოლუციამ განაპირობა ის, რომ ადამიანს, როგორც ინდივიდს, უნდა ჰქონოდა თანაბარი უფლებები და თავისუფლებები. ეს პრინციპი კი, საფუძვლად დაედო ახალი ეკონომიკური და სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი უნდა გამხდარიყო ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც თავის მხრივ საშუალებას მისცემდა ინდივიდს დამოუკიდებლად ეზრუნა საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. საფრანგეთის რევოლუციის მთავარი პრინციპი იყო თავისუფლება და თანასწორობა, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო ნებისმიერი პოლიტიკა, ნებისმიერ სფეროში.

სოციალურ პოლიტიკაში, ლიბერალური შეხედულებების ინტეგრირება ევროპის ქვეყნებში განსხვავებულად ჩამოყალიბდა. განსხვავებული მიდგომები სოციალური პოლიტიკის მიმართ ევროპის ქვეყნებში განაპირობა ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ტემპმა. სოციალური პოლიტიკის განსხვავებული მიდგომებია დღესაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებს სოციალური დახმარების სისტემების განსხვავებულ მოდელებს სთავაზობენ.

3
სოციალური პოლიტიკა დღეს და მისი სამი ძირითადი პრინციპი

სოციალური სახელმწიფოს დანიშნულებიდან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის თავისუფლება, იკვეთება სამი დამატებითი პრინციპი: სოციალური თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა და სოციალური უსაფრთხოება.*4

- სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა გულისხმობს იმას, რომ თუ იგი უზრუნველყოფს თავისუფლებას ინდივიდისთვის, მან თავისუფლებასთან ერთად უნდა უზრუნველყოს თანასწორობის პრინციპის დაცვაც. შესაბამისად, საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პრინციპი – თავისუფლება და თანასწორობა ერთობლივად უნდა იყოს განხორციელებული და არა ცალ-ცალკე. თუმცა სოციალური პოლიტიკის განხორციალება სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა მოქალაქეს განურჩევლად მათი სოციალური ჯგუფის კუთვნილებისა, შეექმნას თანაბარი სოციალური პირობები. არამედ, სოციალური თანასწორობა გულისხმობს სოციალური პირობების გათანაბრებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. შესაბამისად, არცერთი საზოგადოებრივი ჯგუფი, მათი სოციალური მდგომარეობის გამო არ უნდა გაირიყოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. მაგალითად, დაუსაქმებელ ადამიანებს, როგორც სოციალურ ჯგუფს, ენიშნებათ სოციალური დახმარება იმისათვის, რომ მათ სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სოციალურ ჯგუფებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ბავშვები, შშმ პირები და ა.შ.*5
- სოციალური პოლიტიკის მთავარი პრინციპია აგრეთვე, სოციალური სამართლიანობა. სოციალური სამართლიანობა გულისხმობს იმას, რომ სოციალური პირობების გათანაბრება უნდა მოხდეს სამართლიანად. სოციალური პირობების სამართლიანად გათანაბრება გულისხმობს იმას, რომ დახმა-

რება უნდა გაეწიოს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებს, ვისაც მათი ფიზიკური თუ სხვა შესაძლებლობების გამო არ შეუძლიათ თავად უზრუნველყონ თავიანთი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთი ჯგუფებია: სამუშაოს არმქონე პირები, მარჩენალ დაკარგულები, მარტოხელა დედები და ა.შ. *6

- ასევე, სოციალური პოლიტიკის მთავარი პრინციპია უსაფრთხოება, რომელიც ამავდროულად მოიცავს თავისუფლების კომპონენტსაც. სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს იმას, რომ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს სოციალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების რისკებისგან. რისკების გადაზღვევის პასუხისმგებლობა კი ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა. სწორედ ამიტომ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში არსებობს სოციალური დაზღვევა, რომლის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სიტუაციებში, როგორიცაა: ავადმყოფობა, უმუშევრობა, უბედური შემთხვევა და სიკვდილი. ამდენად, სოციალური დაზღვევა გულისხმობს ცხოვრებისეული რისკების გადაზღვევას. სოციალური დაზღვევის ანალოგად საქართველოში შესაძლოა განვიხილოთ დაგროვებითი პენსიის რეფორმა, თუმცა ის განსხვავდება იმ სოციალური დაზღვევის სისტემისგან, რომელიც გერმანიის ფედერაციაში მოქმედებს. კერძოდ, საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ განსაზღვრავს წინაპირობებს, თუ რა შემთხვევაში შეუძლია მონაწილეს მიიღოს დაგროვებული პენსია საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ეს წინა პირობებია: საპენსიო ასაკის დადგომა და შეზღუდული შესაძლებლობების არსებობა. ამდენად, გერმანული სისტემისგან განსხვავებით, რომელიც გარდა შეზღუდული შესაძლებლობისა, სხვა ცხოვრებისეულ რისკებსაც აზღვევს, დაგროვებითი პენსია საქართველოში მხოლოდ საპენსიო ასაკის დადგომას და შეზღუდულ შესაძლებლობებს მოიცავს. ბუნებრივია, აღნიშნული მიდგომა გადახედვას საჭიროებს, რადგან თუნდაც ავადმყოფობისას, როდესაც ადამიანს მკურნალობის თანხების დაფარვა არ შეუძლია, სამართლიანი იქნებოდა, რომ მას ამ დროს დაგროვილი პენსიის გამოყენება შეეძლოს. *7

4 სოციალური უზრუნველყოფის პრინციპები

თანამედროვე სოციალური პოლიტიკა უკავშირდება სხვადასხვა პრინციპს. სოციალური პოლიტიკის პრინციპებიდან განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს დაზღვევის, მზრუნველობითი და თანადგომის პრინციპები. ეს არის პრინციპები, რომლითაც სოციალური უზრუნველყოფის ვიწრო განმარტება არის შესაძლებელი. სოციალური უზრუნველყოფის პრინციპები გულისხმობს, ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც მოქალაქეებს ცხოვრებისეული რისკებიდან გამოწვეულ შედეგებს თავიდან აარიდებს და მათ დაცულობის შეგრძნებას გა-

*4 Lorenz von Stein, Geschichte der sozialen Bewegung in Frankreich von 1789 bis auf unsere Tage (zuerst erschienen 1850), Darmstadt 1959 (Neudruck der Ausgabe München 1921), Bd. 3, 104, Bd. 1, 45; über Lorenz von Stein aufschlussreich etwa der Aufsatz von Ernst-Wolfgang Böckenförde, Lorenz von Stein als Theoretiker der Bewegung von Staat und Gesellschaft zum Sozialstaat, in: ders., Recht, Staat, Freiheit. Studien zur Rechtsphilosophie, Staatstheorie und Verfassungsgeschichte, Frankfurt a.M. 1991, 170-208.

*5 Rupert Scholz, Das grundgesetzliche Sozialstaatsprinzip und seine Konkretisierung im Bundesstaat, S. 11

*6 Rupert Scholz, Das grundgesetzliche Sozialstaatsprinzip und seine Konkretisierung im Bundesstaat, S. 11

*7 Rupert Scholz, Das grundgesetzliche Sozialstaatsprinzip und seine Konkretisierung im Bundesstaat, S. 11

უჩენს. სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპებთან ერთად არსებობს სხვა პრინციპებიც: სოლიდარობის, სუბსიდიარობის და თვითდახმარების პრინციპები.

- **დაზღვევის პრინციპი** – როგორც ზემოთაა აღნიშნული, ეს პრინციპი მოიცავს მოქალეების დახმარებას, უბედური შემთხვევის, უმუშევრად დარჩენის, შესაძლებლობის შეზღუდვის დროს და ა.შ.
- **თანადგომის პრინციპი** – გერმანიის ფედერაციაში, ამ პრინციპის მთავარი გარანტი არის შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც დახმარებით უზრუნველყოფს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზარალებულ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს. ასეთი კატეგორიაა მაგალითად, ომის შედეგად დაზარალებული ადამიანები ან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებული პოლიციელები და ა.შ.
- **მზრუნველობის პრინციპი** – ამ პრინციპის მიხედვით, ფინანსური ან სხვა სახის დახმარება გაეწევა იმ პირებს, ვისაც სხვაგვარად დახმარების მიღების საშუალება არ აქვს. ამ პრინციპით ძირითადად ხდება იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც თუმცა დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ არცერთ სოციალურ პროგრამაში არ ხვდებიან.

გერმანიის ფედერაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზღვევის პრინციპს.*8 ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა პრინციპები უმნიშვნელოა, არამედ სხვა პრინციპები უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე დაზღვევის პრინციპი. შესაბამისად, გერმანიის ფედერაციის სოციალური პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს შერეულ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია დაზღვევის პრინციპზე. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური ქვეყნების უმეტესობა სწორედ შერეულ სისტემას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა განსხვავება შეიძლება იყოს ის, რომ ესა თუ ის ქვეყანა უპირატესობას ანიჭებდეს არა დაზღვევის პრინციპს, არამედ სოციალური პოლიტიკის სხვა პრინციპს. მაგალითისათვის, ამერიკის შეერთებული შტატები უპირატესობას ანიჭებს თანადგომის პრინციპს, ხოლო დანია და დიდი ბრიტანეთი კი მზრუნველობის პრინციპს.*9

რაც შეეხება საქართველოს, ისიც შეიძლება ითქვას, რომ შერეული ტიპის სოციალური სახელმწიფოა, თუმცა ბუნდოვანია საქართველოსთვის პრიორიტეტული პრინციპი.

5
სოციალური პოლიტიკის გამოწვევა: სოციალური დახმარების ბოროტად გამოყენება

სოციალური პოლიტიკის განხორციელების უმთავრესი გამოწვევაა სოციალური დახმარების ბოროტად გამოყენება. მართალია, ვერავინ შეაფასებს იმ ზიანის ზუსტ ოდენობას, რასაც სახელმწიფო სოციალური დახმარების ბოროტად გამოყენების შედეგად იღებს, თუმცა ეს ზიანი ძალიან დიდია. ბოროტად გამოყენება ვლინდება სამედიცინო სფეროში, როდესაც საჭიროზე მეტი მედიკამენტის გამოწერა ხდება და ა.შ. სოციალური სისტემის ბოროტად გამოყენების რისკი ნათლად გამოკვეთა საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმამ საქართველოში. კერძოდ, ვინაიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს არ აქვს ზედამხედველობის საკმარისი ბერკეტები იმისათვის, რომ გააკონტროლოს სამედიცინო დაწესებულების მიერ ჩატარებული სამედიცინო მანიპულაციის მართებულობა, სამედიცინო დაწესებულებებს აქვთ ცდუნება პაციენტის დიაგნოზი დაამძიმოს ან სხვა დიაგნოზი დაწეროს, რათა მკურნალობისთვის დამატებითი ანაზღაურება მიიღოს. მსგავ-

სი ტიპის რისკები, მნიშვნელოვნად ზრდის საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯებს, რაც საფრთხეს უქმნის მთლიანობაში ამ პროგრამის განხორციელებას.

სოციალური დახმარებების ბოროტად გამოყენება, არა მხოლოდ იმ ადამიანებზე მოქმედებს ნეგატიურად ვისაც ეს დახმარება რეალურად ესაჭიროება, არამედ ის დიდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს მთელს საზოგადოებაზე.

სოციალური პოლიტიკის ამ პრობლემების გამო, ბევრი აკრიტიკებს სოციალურ სახელმწიფოებს და მაგალითად მოჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან სოციალური პოლიტიკის კრიტიკოსები ხშირად შეცდომით ფიქრობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის სოციალური სახელმწიფო. *10

ექსკურსი: სოციალური პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ აშშ არ არის სოციალური სახელმწიფო. ამ მოსაზრებას აქვს თავისი ისტორიული საფუძვლები. კერძოდ, პირველი ეს არის რელიგიურ-პურიტანული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სიღარიბის გამომწვევი მიზეზი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების ცხოვრების წესი და რომ ამაში სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო. მეორე მოსაზრება ეფუძნება პრინციპს – self-made-man, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს, თავისი შრომით აქვს შანსი, რომ მიიღოს კეთილდღეობა. ეს მიდგომა მიმართულია

*8 Hildengard Mueller, Aufgaben des Staates unda Aufgaben des Buergers, S.39
*9 Michael Henkel, Sozialpolitik in Deutschland und Europa, S. 128
*10 Michael Henkel, Sozialpolitik in Deutschland und Europa, S. 128
*11 Michael Henkel, Sozialpolitik in Deutschland und Europa, S. 128

ინდივიდის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობისკენ, რომელიც თავის მხრივ გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწევას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს დახმარება ცალმხრივია და სანაცვლოდ სახელმწიფო არაფერს არ იღებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისამდე შეერთებულ შტატებში არ არსებობდა სოციალური პოლიტიკა, რომელსაც დაემთხვა ეკონომიკური რეცესია, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სამუშაო ადგილების შემცირება და სიღარიბე. ამ მოვლენამ განაპირობა ის, რომ პრეზიდენტ რუზველტის დროს დაიწყო ახალი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რომელსაც ეწოდა ე.წ. New Deal. ამ პერიოდიდან მოყოლებული შეერთებული შტატები არის სოციალური სახელმწიფო, რაც გულისხმობს იმას, რომ აშშ-ში არსებობს სოციალური პოლიტიკა, რომელიც ევროპაში ცნობილ პრინციპებზეა დაფუძნებული. *11

სოციალური პოლიტიკის გამოწვევების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დახმარება არა მხოლოდ მორალურ, არამედ სუფთა ეკონომიკურ ასპექტებსაც უკავშირდება. სოციალური დახმარება ღარიბებისთვის, არა მხოლოდ იმ ერთი ადამიანისთვისაა სარგებლიანი, არამედ მთელი საზოგადოებისთვის. სოციალური პოლიტიკის მთავარი მიზანია, ყველა ადამიანმა, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, სრულფასოვნად შეძლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული მეტი ადამიანი ქმნის უკეთეს ეკონომიკას და მეტ დოვლათს სახელმწიფოსთვის. მნიშვნელოვანია, საქართველო უფრო ინტენსიურად მიისწრაფოდეს იმისაკენ, რომ ჩვენი ქვეყანა ყველა იმ პრინციპის განუხრელად დამცველი და განმახორციელებელი გახდეს, რასაც ევროპული და ზოგადად, დასავლური სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს.

დავით სიმონია

იურიდიული დახმარების სამსახურის
ანალიტიკური სამმართველოს უფროსი

ასოცირების ხელშეკრულება - გზა ევროკავშირისკენ

1951 წელს საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ხელი მოაწერეს ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული გაერთიანების შექმნას და სწორედ ეს ფაქტი მიიჩნევა ევროპის კავშირის შექმნის დასაწყისად. ეკონომიკური კავშირების გაძლიერების მიზნით, ამავე ქვეყნებმა 1957 წელს შექმნეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება – საერთო ბაზარი (1992 წლიდან ევროპის გაერთიანება) და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება. ამ გაერთიანებების თანამედროვე ევროპის კავშირამდე მისვლას ათწლეულები დასჭირდა და იგი ხორციელდებოდა როგორც ახალი წევრების მიღებით, ასევე ქვეყნების რიგი ფუნქციების დელეგირებით გაერთიანებისათვის. იურიდიულად კავშირი გაფორმდა 1992 წელს მაასტრიხტის შეთანხმებით.

ევროკავშირი 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მილიონი მოქალაქისთვის.

ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებს და უფლებამოსილებებს. ამ ხელშეკრულებების მაგალითია: 1957 წლის, „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ რომის ხელშეკრულება, 1986 წლის „ერთიანი ევროპული აქტი“, 1992

> ევროკავშირი 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა

წლის „მაასტრიხტის ხელშეკრულება“, 1997 წლის „ამსტერდამის ხელშეკრულება“ და 2007 წლის „ლისაბონის ხელშეკრულება“.

ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელს შეადგენდა მთელი მსოფლიოს 23%-ს – 16,6 ტრილიონ აშშ დოლარს. იგი უდიდესი ერთიანი ბაზრის მქონე გაერთიანება, მშპ, ასევე საგარეო ვაჭრობითა და იმპორტით, ლიდერია მსოფლიოში. მსოფლიოს 500 ყველაზე მომგებიანი, მსხვილი კომპანიიდან 161-ის სათაო ოფისი ევროპის კავშირში მდებარეობს. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ქვეყნების მიხედვით სხვადასხვაა და მერყეობს 7000-დან 78 000 აშშ დოლარამდე. კავშირში შექმნილია ერთიანი ბაზარი და უზრუნველყოფილია ადამიანების, კაპიტალის, მომსახურების, საქონლის თავისუფალი გადაადგილება. 18 ქვეყანამ გააუქმა ეროვნული ვალუტა და ჩამოაყალიბა ევროზონა. ჩამოყალიბებულია ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს შეთანხმებული საგარეო და უშიშროების პოლიტიკის განხორციელებას. რიგ შემთხვევებში გადაწვეტილებები მიიღება როგორც წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებებით, ასევე იმ სტრუქტურების მეშვეობით, რომელიც შექმნილია ორგანიზაციაში. ქვეყნებს შორის გადაადგილება, უვიზოა, მათ შორის, ზოგი იმ ქვეყნისათვის, ვინც არ არის კავშირის წევრი (ნორვეგია, შვეიცარია, ისლანდია, ლიხტენშტეინი). 2014 წელს ამ ჩამონათვალს დაემატა მოლდოვა, 2017 წელს კი საქართველო.

საქართველოს დაახლოება ევროპის კავშირთან 90-იან წლებში დაიწყო და პირველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელმაც საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთობას სისტემატიური ხასიათი მისცა, იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA) *(www.eu-nato.gov.ge/ge/eu/agreement),* რომელიც 1996 წელს ლუქსემბურგში გაფორმდა, ხოლო ძალაში 1999 წლიდან შევიდა. ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, მათ შორის: პოლიტიკური დიალოგი; ვაჭრობა, ბიზნესი და ინვესტიციები; სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა; დემოკრატია და ადამიანის უფლებები; კრიმინალთან ბრძოლა, არალეგალური ემიგრაციის პრევენცია-კონტროლი და სხვა.

> წლების განმავლობაში საქართველო ევროპის კავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბენეფიციარი გახდა

მომდევნო წლების განმავლობაში საქართველო ევროპის კავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბენეფიციარი გახდა. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების (PCA) დადებიდან 18 წლის შემდეგ, 2014 წელს, ხელი მოეწერა მეორე ხელშეკრულებას – ასოცირების შეთანხმებას (AA) *(https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959),* რომელმაც ჩაანაცვლა PCA და მხარეთა შორის დაამყარა ასოცირება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რადგან, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. 18-წლიანი ინტეგრაციული პროცესებისა და ასოცირების შეთანხმების გაფორმების შედეგად, საქართველო აღიარებულ იქნა ევროპული მისწრაფებებისა და ევროპული არჩევანის

> საქართველო ვალდებულია დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას

მქონე სახელმწიფოდ, საფუძველი ჩაეყარა ახალ და გაღრმავებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელმაც ქართველი ხალხისთვის გააჩინა ევროპული პერსპექტივა და შანსი ევროპული ფასეულობების ოჯახში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის.

ასოცირების შეთანხმება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლის ფარგლებში საქართველო ვალდებულია დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას, განახორციელოს პოლიტიკური ასოცირება და ღრმა ეკონომიკური ინტეგრაცია. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლმა განსაზღვრა და დაადგინა, რომ ყველა კონსტიტუციური ორგანო ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროკავშირში. ასეთი პოლიტიკური და სამართლებრივი დღის წესრიგის პირობებში, არსებითად მნიშვნელოვანი ხდება ცოდნა ევროკავშირის სამართლისა და ასოცირების შეთანხმების შესახებ.

შეთანხმება ქმნის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის, შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.

მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.

დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა, მაგ., ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ

> თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ასოცირების შეთანხმებისა

მექანიზმს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ასოცირების შეთანხმებისა და მისი უმთავრესი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფა. DCFTA შეღავათიან სავაჭრო ვითარებას (საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლებას) სთავაზობს საქართველოში წარმოშობილ პროდუქტს. ამდენად, მნიშვნელოვანია „საქონლის ეროვნულობის“ დადგენა. DCFTA არის ასოცირების შეთანხმების ის ნაწილი, სადაც ყველაზე დიდი მოცულობით არის შესასრულებელი სამართლებრივი აპროქსიმაციის ვალდებულებები (რეგულატორული დაახლოება). DCFTA-ის ნაწილში წარმოდგენილია სამი მიზნის განვითარების მნიშვნელობა: სავაჭრო-ეკონომიკური მიზანი, შრომისა და სოციალური დაცვის მიზანი, გარემოსდაცვითი მიზანი. მდგრადი განვითარების პოლიტიკა ამავდროულად, მოითხოვს ინვესტორებისა და ინვესტიციების მიმართ დაცვის დონის შენარჩუნებას.

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;
- ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;
- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას;
- ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;
- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად;
- ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას.

მოქალაქეთა მხრიდან ყველაზე ხშირად ისმის კითხვა იმის შესახებ, ითვალისწინებს თუ არა „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ევროკავშირში გაწევრიანებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების (Treaty on European Union) *(https://*

eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:12012M/TXT) შესაბამისად. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს.

ასოცირების შეთანხმებით აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, თუმცა ასოცირების შეთანხმების ტერიტორიული მოქმედების პრინციპის თანახმად, მისი გამოყენება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საქართველოს ხელისუფლება მოიპოვებს სრულ კონტროლს ამ ტერიტორიებზე. ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციას და არა ჰარმონიზაციას. არსებობს დაახლოების (აპროქსიმაციის) ორი სახე: ეტაპობრივი და დინამიური; არსებობს სამართლებრივი აპროქსიმაციის 3 სტადია: ევროპული სტანდარტების ასახვა ქართულ კანონმდებლობაში; ევროპული სტანდარტების ასახვა ქართულ პრაქტიკაში (შესრულება); ევროპული სტილის ადმინისტრაციული პრაქტიკის შექმნა და ჯანსაღი პრაქტიკის დამკვიდრება (აღსრულება პასუხისმგებლობის ელემენტებით). შექმნილია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგის ფორმატები სამთავრობო დონეზე, საპარლამენტო დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების დონეზე; საპარლამენტო თანამშრომლობა წარმოადენს ფორუმს და ამ სივრცეში არ მიიღება სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებები; ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სავალდებულო გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ სამთავრობო დონე. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება და საინტერესოა, რომ დასაშვებია ე.წ copy-paste სტანდარტი (მაგალითად, ევროკავშირის რეგლამენტებთან დაახლოებისას).

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, იმისათვის, რომ ქვეყანა გაწევრიანდეს ევროპის კავშირში, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებს“, რაც გულისხმობს **საზოგადოების მოწყობის დემოკრატიულ პრინციპებს, თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობასა და პატივისცემას. კანდიდატმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იმ ინსტიტუტების სტაბილურობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, კანონის უზენაესობას. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და სწორად შესრულება კი საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია არამარტო იმ კუთხით, რომ იგი ავტომატურად დააკმაყოფილებს ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებს“,** არამედ იმიტომ, რომ ქვეყანაში უფრო მეტად განმტკიცდება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და ხელი

ნინო მელაძე

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის
დირექტორის პირველი მოადგილე

მტკიცების ტვირთი მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა

ჯანმრთელობის დაცვის უფლება წარმოადგენს საქართველოს კონსიტუციით გარანტირებულ უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.

ჯანმრთელობის დაცვის უფლებას იცავს არაერთი საერთაშორისო აქტი. ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, წარმოშობენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2, მე-3, მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყეტილებაში გაამახვილა ყურადღება ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე, მის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ვალდებულებაზე. საქმეში – ვო საფრანგეთის წინააღმდეგ[*1] – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება, რომელიც კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ არა მხოლოდ თავი შეიკავონ სიცოცხლის უფლების განზრახ მოსპობისაგან, არამედ მიიღონ სათანადო ზომები მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული პირების სიცოცხლის დასაცავად. ეს პრინციპი ეხება, ასევე, ჯანმრთელობის სფეროსაც. სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებაა დაიცვან პაციენტის უფლებები. უფრო მეტიც, ევროპულმა სასამართლომ საქმეში – ტროსელიერი საფრანგეთის წინააღმდეგ – მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოებისაგან ისეთი რეგულაციების მიღებას, რომლებიც დაავალდებულებს საჯარო თუ კერძო სამკურნალო დაწესებულებებს, მიიღონ შესაბამისი ზომები პაციენტების სიცოცხლის დასაცავად [*2].

მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამედიცინო სფეროს კომპლექსურობისა და მტკიცებულებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით ხშირ შემთხვევაში პაციენტისათვის გამოწვევად რჩება. შესაბამისად, პაციენტის უფლებების ეფექტურად დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს.

> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყეტილებაში გაამახვილა ყურადღება ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე

მტკიცების ტვირთის განაწილებაზე დამოკიდებულია მტკიცების სუბიექტთა მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა სწორად რეალიზაცია. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის არასწორი გადანაწილების შედეგია მცდარი გადაწყვეტილების მიღება[*3].

მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს მტკიცებულებების მოპოვებისა და მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – სტორკსი გერმანიის[*4] წინააღმდეგ – აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილია იმ ზოგადი სირთულეების შესახებ, რომელსაც პაციენტი აწყდება, რათა დაამტკიცოს, რომ სწორედ ექიმის შეცდომას მოჰყვა მისი ჯანმრთელობის დაზიანება.

მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს მტკიცების ტვირთის განაწილებასთან მიმართებით საქართველოსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა გარკვეულწილად განსხვავებულია.

განვითარებული ქვეყნების მიდგომებში უფრო მეტად არის ხაზგასმა მტკიცების ტვირთის „შებრუნებაზე“ პაციენტის სასარგებლოდ და ამ ტვირთის სამედიცინო დაწესებულებაზე გადატანაზე. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პაციენტს, რომელსაც მიადგა ზიანი,

*1 Vo v. France.
*2 Trocellier v France.
*3 თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, (სადისერტაციო ნაშრომი) თბილისი, 2010.
*4 STORCK V. GERMANY.

> განვითარებული ქვეყნების მიდგომებში უფრო მეტად არის ხაზგასმა მტკიცების ტვირთის „შებრუნებაზე“ პაციენტის სასარგებლოდ

არ გააჩნია სპეციალური ცოდნა, ხოლო სამედიცინო დაწესებულებას აქვს საკმარისი რესურსი და კომპეტენცია იმისთვის რათა ამტკიცოს, რომ ზიანი გამოიწვია არა ექიმის ქმედებამ, არამედ სხვა ფაქტორებმა. ქართული სასამართლო პრაქტიკა კი ამ მიმართებით გარკვეულწილად არათანმიმდევრულია.

აღსანიშნავია, რომ მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზე რეგულაციას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

ამ მუხლის საფუძველზე, მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით, მითითებულია არაერთ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების (საქმე №ას-111-111-2018) თანახმად, „დაზარალებულმა ერთდროულად უნდა დაამტკიცოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა მცდარი სამედიცინო ქმედება. გადაწყვეტილების თანახმად, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა, ქირურგიული ოპერაცია და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-111-111-2018)”.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის განჩინების (2ბ/2300-11) თანახმად, მოქმედი კანონდებლობით სამკურნალო დაწესებულებას ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტი იგივე ზიანს მიიღებდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობის შედეგადაც. დაზარალებული მხარის თანაბრალეულობის შესახებ განმარტებები უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს სამკურნალო დაწესებულებამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის Nას-1268-1526-09 გადაწყვეტილების თანახმად, პაციენტსა და ექიმს შორის წარმოშობილი ურთიერთობა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, ექიმი პასუხს აგებს მხოლოდ მცდარი სამედიცინო ქმედებისთვის და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის პრეზუმფცია არ მოქმედებს. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა, მისი პასუხისმგებლობა დგება არასწორ მკურნალობის შემთხვევაში და მხოლოდ

ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. აღნიშნული კატეგორიის დავებში პაციენტს (მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს) ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ მკურნალობისას შეცდომა დაუშვეს. თუ მისი განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების ვალდებულების დარღვევას[*5].

თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მაისის №ას-260-244-2014 განჩინების თანახმად, არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს, პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებამ უნდა განახორციელოს“.

მსგავს მსჯელობას შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებებიც, კერძოდ, 2005 წლის 13 აპრილის №ას-33-406-05 გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ზიანის მიყენებისას არსებობს ბრალეულობის პრეზუმფცია – ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ე.წ. საქმე თავად ღაღადებს (Res Ipsa Loquitur) პრინციპი, რომლის თანახმად, უბედური შემთხვევის/ზიანის არსებობა გულისხმობს მის დაუდევრობით ჩადენას, ანუ არსებობს ქმედების დაუდევრობით ჩადენის პრეზუმფცია. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე[*6]. აღნიშნული მიდგომა გამართლებულია იმით, რომ საქმე თავად ღაღადებს (Res Ipsa Loquitur) პრინციპის გამოუყენებლობის შემთხვევაში მივიღებთ სიტუაციას, რომ მოპასუხე არ აღიარებს და მოსარჩელე კი ვერასოდეს მიიღებს ზიანის ანაზღაურებას. ეს პრინციპი აიძულებს მოპასუხეს, იყოს აქტიური, წარადგინოს არგუმენტები და მიუთითოს მოსარჩელის ზიანის წყაროზე. შესაბამისად, ეს პრინციპი მტკიცების ტვირთს აკისრებს მოპასუხეს/სამედიცინო დაწესებულებას[*7].

მსგავსი პრინციპი არსებობს საფრანგეთშიც (Evidence by exclusion). თუ სხვა ფაქტორებით ვერ აიხსნება დამდგარი ზიანი, მაშინ ექიმის ქმედება ითვლება ზიანის მიმყენებელ ქმედებად[*8]. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი, რომ

> დაზარალებული მხარის თანაბრალეულობის შესახებ განმარტებები უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს სამკურნალო დაწესებულებამ.

*5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 მაისის №ბ-38-2021 განჩინება.

*6 საქმე Ybarra v. Spangard (USA);

*7 იხ. 5.

*8 Cass. le civ., Jan. 24, 2006, Bull. civ. 1, No. 35; JCP 2006, 1, 166, No. 5, obs. Ph. Stoffel-Munck; JCP 2006, I, 10082, note L. Grynbaum; RTD civ. 2006, 323, obs. P. Jourdain.

> ბელგიაში, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მიზეზობრივი კავშირი სამედიცინო შეცდომასა და ზიანს შორის.

ადგილი არ ჰქონია საექიმო შეცდომას ეკისრება ექიმს. ამასთან, თუ ექიმს უნდა მიეღწია კონკრეტული შედეგისთვის, დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი ამ შედეგის მიუღწევლობისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ არსებობდა სხვა მიზეზი: ფორს მაჟორი, მესამე პირის ბრალი ან თავად პაციენტის ბრალი*[9].

ბელგიაში, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მიზეზობრივი კავშირი სამედიცინო შეცდომასა და ზიანს შორის. ბელგიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად (პირობების ექვივალენტურობის თეორია – equivalence of conditions), ნებისმიერი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას, უნდა იქნეს განხილული ზიანის მიზეზად, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ არსებობს მხოლოდ არაპირდაპირი კავშირი*[10].

მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ჰოლანდიის, კანადის და სხვა მრავალი განვითარებული ქვეყნების სასამართლოებს აქვთ შემდეგი მიდგომა: მიზეზობრივი კავშირი ითვლება დადგენილად, თუ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ალბათობის მაღალი ხარისხით იწვევს დამდგარ ზიანს. ასეთ შემთხვევაში მთავარია მიზეზობრივი კავშირის ერთ-ერთი ძირეული კომპონენტის დადგენა ანუ იმის დადგენა, რომ ჩადენილ ქმედებას ალბათობის მაღალი ხარისხით შეეძლო გამოეწვია იმ სახის ზიანი, რაც დადგა. აღნიშნულის გაქარწყლება კი ეკისრება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს (სამედიცინო დაწესებულებას, ექიმს) სათანადო მტკიცებულებებით. უფრო მეტიც, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება არა მხოლოდ ქმნის, არამედ ზრდის ზიანის მიყენების რისკს და რეალურად მოხდება კიდეც ამ რისკის მატერიალიზება, მაშინ ამ შემთხვევაშიც მიზეზობრივი კავშირი ითვლება დადგენილად. საწინააღმდეგო უნდა დაამტკიცოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენმა პირმა*[11].

შესაბამისად, საქართველოში პაციენტის უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია ქართული სასამართლო პრაქტიკა უფრო მეტად დაუახლოვდეს განვითარებული ქვეყნების მიდგომებს და არაორაზროვნად განიმარტოს მტკიცების ტვირთის „შებრუნებისა“ და მისი სამედიცინო დაწესებულებაზე (ექიმზე) დაკისრების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამედიცინო სფეროს სირთულის და იმის გათვალისწინებით, რომ მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს, ხშირ შემთხვევაში ყველაზე მყარ და უტყუარ მტკიცებულებას, სწორედ ისევ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მიერ გაცემული დასკვნა წარმოადგენს, პაციენტი არათანაბარ ვითარებაში იმყოფება მოწინააღმდეგე მხარესთან (ექიმი, სამედიცინო დაწესებულება) მიმართებით და მისი უფლებების დაცვაც ხშირად გართულებულია.

*9 EUROPEAN COMMITTEE ON LEGAL CO-OPERATION (CDCJ) CDCJ (2005) 3 rev1.

*10 იხ. 8.

*11 Digest of European Tort Law. Vol. 1. Essential Cases on Natural Causation (2007) 102–11, 215 f. and 408 f.; Dicky Trading II-case of Hoge Raad (HR) 26 January 1996, Nederlandse Jurisprudentie (NJ) 1996, 607. See also W.H. van Boom/I. Giesen, The Netherlands.

თეა ყაუღაშვილი
თბილისის იურიდიულის
დახმარების ბიუროს ადვოკატი

პრაქტიკული საკითხები

საერთაშორისო დაცვა საქართველოში

ჩვენს რეალობაში შევხვდებით არაერთ უცხო ქვეყნის მოქალაქესა თუ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ სხვადასხვა მიზეზით დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო. ეს მიზეზები შეიძლება იყოს რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო ქვეყნის დატოვება, ან სულაც წარმოშობის ქვეყანაში ისეთი მძიმე მდგომარეობის არსებობა – საომარი, ეკონომიკური თუ სხვა – რომ იქ დაბრუნების შემთხვევაში, გარდაუვლად საფრთხე დაემუქრება მათ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

Photo: Delil Souleiman Agence France

სწორედ ამ უცხოელების, ან მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივ დახმარებას ახორციელებს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, რომლის ერთ-ერთ რიგით ადვოკატსაც მე წარმოვადგენ. შესაბამისად, გაგიზიარებთ ამ ადამიანების დაცვის ღონისძიებებს, პრაქტიკულ გამოცდილებას და პრობლემატურ საკითხებს, რომელიც დღემდე დგას ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. მაშ, ასე:

ისტორიულ ჭრილში

საქართველოში პირველი ლტოლვილები ჯერ კიდევ 1994 წლიდან გამოჩნდნენ, თუმცა 1999 წლამდე მათი რაოდენობა ერთეულებით შემოიფარგლებოდა. თავშესაფარის თხოვნამ მასობრივი ხასიათი მიიღო 1999 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკაში საომარი მოქმედებები დაიწყო. საქართველოს ხელისუფლებამ ჯგუფური მიდგომით სტატუსის მინიჭების პრინციპს (Prima Facie) მიმართა და ცხრა ათასამდე პიროვნებას ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა. 2012 წლიდან დაიწო თავშესაფრის მაძიებელთა დიდი რაოდენობით შემოსვლა – მეორე ტალღა და 2014 წლის ბოლოსთვის თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობაც გაცილებით გაიზარდა. აღნიშნული, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში გამწვავებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა გამოიწვია. თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდაზე გავლენა იქონია უკრაინაში დაწყებულმა კონფლიქტმაც. ნელ-ნელა, მაგრამ შესამჩნევად იზრდება თავშესაფრის მაძიებლების რიცხვი სხვა ქვეყნებიდანაც და დღეს უკვე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მომართავენ საქართველოს სახელმწიფოს თავშესაფრის თხოვნით.

სამართლებრივ ჭრილში

საქართველოში საერთაშორისო დაცვის საკითხები რეგულირდება საერთაშორისო აქტებით ჟენევის 1951 წლის კონვენციით „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“, 1967 წლის ოქმით „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ და საქართველოს კანონით „საერთაშორისო დაცვის შესახებ“.

მითითებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, და იმის მიხედვით, თუ რა მიზეზით სტოვებს სახელმწიფოს (წარმოშობის ქვეყანას) ესა თუ ის პირი, საქართველოში საერთაშორისო დაცვის სამი ფორმა არსებობს. კერძოდ, **ლტოლვილის სტატუსი, ჰუმანიტარული სტატუსი, დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.**

სახელმწიფო ორგანო, რომელიც საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით განცხადებას განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, გახლავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური კი საერთაშორისო დაცვის იმ ეტაპზე ერთვება,

როდესაც ამა თუ იმ მიზეზთა გამო მიგრაციის დეპარტამენტი თავშესაფრის მაძიებელს უარს ეუბნება სტატუსის მინიჭებაზე. იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი სამსახური ამ დროს, რომ უარის შესახებ გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ პირს აქვს უფლება თავი დაიცვას იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით და მიმართოს სასამართლოს. სწორედ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ვახორციელებთ სამართლებრივ დახმარებას ასეთი თავშესაფრის მაძიებლებისთვის კონსულტაციის გაწევით, სარჩელის მომზადებით და შემდგომ უკვე საქმის სასამართლოში წარმართვით.

იურიდიული დახმარების სამსახური 2016 წლიდან ახორციელებს თავშესაფრის მაძიებელთა სავალდებულო სამართლებრივ დაცვას საქართველოში. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე არაერთი საქმე იქნა განხილული, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჩვენი სამსახური არის სწორედ ის პლატფორმა, რომელსაც ამ ტიპის საქმეთა წარმოებაში ყველაზე დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს.

მაგალითისათვის შემიძლია გავიხსენო არაერთი შემთხვევა, რომელიც წარმატებით დასრულდა და დღემდე ცხოვრობენ ეს ადამიანები საქართველოში ლეგალურად. ასე მაგალითად:

საქმე 1
ბიჭი აზიური ქვეყნიდან

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც მახსენდება, იყო ბიჭი აზიური ქვეყნიდან (შეგნებულად არ ვასახელებ ქვეყანას, მისი იშვიათი სახელიდან გამომდინარე, რომ ცნობადი არ გახდეს ინფორმაცია). იგი პოლიტიკური ნიშნით იყო დევნილი. მამამისის პარტიულობის გამო დაიწყო ოჯახის წევრების დევნა. კერძოდ, ბიჭის სახლი დაწვეს, რის შედეგადაც დაიღუპა დედა, ორი და და ბიძაშვილი. ხოლო მამა დააკავეს და ციხის საკანში მოკლეს. ამის შემდგომ მას მამამისის მეგობარმა არალეგალურად გაუმზადა პასპორტი, სადაც მისი ასაკი ერთი წლით გაზრდილი მიუთითა, რათა მას შეძლებოდა ქვეყნის დატოვება, როგორც სრულწლოვანს. ასე აღმოჩნდა ეს ბიჭი საქართველოში, სრულიად მიუსაფარი და უიმედო. მას მოპასუხე სამინისტრომ ორჯერ უთხრა უარი თავშესაფრის მინიჭებაზე: ერთხელ, როცა თვითონ მიმართა და მეორედ, როცა სასამართლომ დაავალა სამინისტროს ემსჯელა მის საკითხთან დაკავშირებით. ამის შემდგომ მე, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატს, დამეწერა ეს საქმე და დავიწყე ბიჭის დახმარება.

სამინისტრომ ბიჭს თავშესაფარი არ მისცა იმის გამო, რომ არასანდოდ და არათანმიმდევრულად ჩათვალა მისი მონათხრობი. არ დავეთანხმე მოპასუხე სამინისტროს პოზიციას და მივუთითე იმ მდგომარეობაზე, რომ ბიჭს გადატანილი აქვს უმძიმესი ტრამვა ოჯახის წევრების დაკარგვის გამო. თან იგი იმ დროისათვის იყო არასრულწლოვანი, რაც კიდევ ერთი ხელშემშლელი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო მის მიერ ამა თუ იმ ფაქტის ზედმიწევნით თანმიმდევრულად გადმოსაცემად. აღინიშნა, რომ მცირეოდენი ვარაუდის არსებობაც კი იმის შესახებ, რომ პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება მისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, გამორიცხავს მის დაბრუნებას ამ ქვეყანაში, ხოლო აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სამინისტრომ ვერაფერი წარმოადგინა. უფრო მეტიც, მან ვერ გამორიცხა, რომ ბიჭი უსაფრთხოდ იგრძნობდა თავს თავის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.

სასამართლომ სრულად გაიზიარა ჩემი პოზიცია და სარჩელი დაკმაყოფილდა – ბიჭს აზი-

ური ქვეყნიდან, რომელსაც ოჯახის არცერთი წევრი დარჩა ცოცხალი, მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი საქართველოში და ჩვენი ქვეყანა გახდა მისი თავშესაფარი.

საქმე 2
გოგონა სომალიდან

მახსენდება სომალელი გოგოს ისტორია, რომელიც იყო ობოლი და საკუთარი ძმა ავიწროვებდა (ფაქტები ძალიან მძიმე იყო მოსასმენად და მითუმეტეს, აქ ვერ გადმოვცემ). ძალადობის შემდეგ მან მოახერხა ქვეყნის დატოვება და ითხოვა თავშესაფარი საქართველოში. მოპასუხე სამინისტრომ გოგონას მონათხობი ამჯერადაც არასანდოდ ჩათვალა და უარი უთხრა თავშესაფრის მინიჭებაზე. შევისწავლე რა საქმის მასალები, ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ, მივხვდი, რომ ამ საქმეს მოგების შანსი ჰქონდა. მომზადდა სარჩელი და აღინიშნა, რომ გოგონა შევიწროვებას განიცდიდა ცხოვრების ყველა დონეზე, მსხვერპლი გახდა ოჯახის მხრიდან და თავი ვერ დაიცვა თავის ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ქალი ვერ იქნება მართალი, იქ ქალს განიხილავენ, როგორც საგანს და ა.შ.

სასამართლომ ამ შემთხვევაშიც სრულად გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და გოგონას სომალიდან მიენიჭა თავშესაფარი საქართველოში. იგი დღესაც ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში და შრომით საქმიანობასაც ეწევა. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში კიდევ ერთი სიცოცხლე გადავარჩინეთ.

საქმე 3
ოჯახი ეგვიპტიდან

ოჯახი ეგვიპტიდან, რომლის წევრები არიან კოპტი ქრისტიანები, დევნას განიცდიდა თავის ქვეყანაში სწორედ რელიგიური ნიშნით. მოპასუხე სამინისტრომ ოჯახს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მათი მონათხრობი ჩათვალა არასანდოდ. ჩემი მთავარი არგუმენტი სანდოობასთან დაკავშირებით გახდა ის, რომ თუ არა რეალური დევნა, წარმატებული ოჯახი, მაღალი შემოსავლით და ისტორიულად იქ მცხოვრებლები, არ დატოვებდნენ ქვეყანას და აქ სახელმწიფოს კმაყოფაზე არ იქნებოდნენ. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ ეგვიპტეში იმჟამად კოპტურ ეკლესიაზე არაერთი თავდასხმა განხორციელდა, რაც სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასალებითაც მტკიცდებოდა. ამ საქმემაც ორჯერ მოიარა სასამართლო, პირველ ჯერზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა და მეორედ უკვე სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი და სამწლიანი დავის შემდეგ ოჯახ-

მა ეგვიპტიდან მიიღო ლტოლვილის სტატუსი საქართველოში. ეს ოჯახიც დღეს ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხოდ და ლეგალურად.

საქმე 4
დედა-შვილი ირანიდან

ეს არის უახლესი საქმე, სადაც წლების განმავლობაში ქალი გახდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქმრის მხრიდან. მან როგორღაც მოახერხა, შვილთან ერთად დატოვა ქვეყანა და ითხოვა თავშესაფარი საქართველოში. ამ შემთხვევაშიც სამინისტრომ უნდობლობის გამო უარი უთხრა დედა-შვილს და არ მიიჩნია მათი მონათხრობი დამაჯერებლად და ნამდვილად. მე, როგორც ადვოკატმა, შევიმუშავე საქმის სტრატეგია. არასრულწლოვანმა ახსნა-განმარტება მისცა სასამართლოს, ყურადღება გამახვილდა ბავშვის საუკეთესო ინტერესზე და იმ გარემოებაზე, რომ მცირედი ალბათობაც კი იმისა, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებულ დედა-შვილს შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა, ჩვენი ქვეყანა დამნაშავე იქნებოდა ამ ადამიანების წინაშე, რომ არ შეიფარა. მით უფრო, რომ ბავშვები, როგორც წესი, არ იტყუებიან და აქაც ბავშვმა თავისი სურვილით და შეულამაზებლად ისაუბრა იმ ფაქტების შესახებ, რომელიც ცალსახად ძალადობრივი იყო.

ჩატარდა არაერთი სხდომა და სასამართლომ მოისმინა რა საქმე სრულად, ადგილზე თათბირით დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და დედა-შვილს ირანიდან მიეცათ ლტოლვილის სტატუსი საქართველოში. ეს იყო შემთხვევა, სადაც ემოციები ვერ შევიკავეთ. ტიროდა პროცესის ყველა მონაწილე, რადგან გააზრებული გვქონდა, რომ ჩვენ ჩვენი ძალისხმევით, მინიმუმ, ორი ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინეთ.

არის ისეთი შემთხვევები, როცა თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადი სანდოდ მიაჩნია მოპასუხე სამინისტროს, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უარს ეუბნებიან. არსებობს კონტრდაზვერვის ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის და არ უნდა მიეცეს თავშესაფარი. აქ ადვოკატები ვაწყდებით პრობლემას, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას და ერთადერთი, ვისაც მის შინაარსზე წვდომა აქვს, არის მოსამართლე. შესაბამისად, დაცვის სტრატეგია პრაქტიკულად უსუსურია, ჩვენ არ ვიცით, როგორ შევაფასოთ მტკიცებულება, რომლის შინაარსიც უცნობია და ამავე დროს, გვაქვს სამინისტროს პასუხი, რომ ამ კონკრეტულ ადამიანს საფრთხე ემუქრება წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში. ეს საკითხი დღემდე რჩება პრობლემად, თუმცა ყოფილა შემთხვევები, რომ ასეთი დავებიც მოგვიგია.

ზემოაღნიშნული მაგალითები არის ის მცირედი ჩამონათვალი, რომელიც ცხადყოფს იურიდიული დახმარების სამსახურის მნიშვნელობას. ჩვენ, ადვოკატებს გააზრებული გვაქვს, რომ ვიცავთ ენის ბარიერის მქონე, მოწყვლად კატეგორიას, რომლებიც მოლოდინით შესცქერიან ჩვენს სახელმწიფოს, რომ არ იქნენ გაძევებული იმ ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას გარდაუვლად საფრთხე ემუქრება. აქვე მინდა აღვნიშნო: რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა აშკარად ეჭვი გეპარება დასაცავი პირის მონათხრობში, ხვდები, რომ დევნის გამო კი არა, უკეთესი ცხოვრების გამო უნდა საქართველოში ლეგალურად ცხოვრება, მაგრამ აქ მაინც ერთი „თუ“ არსებობს, – უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი, რომ ამ ადამიანებს საფრთხე არ დაემუქრებათ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში. და მაინც, თუ სასწორზე 50/50 მდგომარეობა იქნება, ეჭვი უნდა გადაწყდეს დასაცავი პირის სასაგრებლოდ. სწორედ ამ ნიუანსების გამოვლენაში ვეხმარებით ჩვენ, ადვოკატები დასაცავ პირებს და არ ვუშვებთ შანსს ხელიდან, რომ მათი დაცვის არგუმენტები არ მივაწოდოთ სასამართლოს.

ვისურვებდი, რომ ყველას თავის ქვეყანაში უზრუნველად ეცხოვროს და არასოდეს დამდგარიყოს დღის წესრიგში თავშესაფრის საკითხი. მხოლოდ სამოგზაუროდ, სწავლა-განათლებისთვის ევლოთ ადამიანებს სხვა ქვეყნებში.

ნათია ბერძენიშვილი
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი

შრომის უსაფრთხოება და უფლებები

შრომის უსაფრთხოების და შრომის უფლებების დაცვაა ის, რაზეც მუდმივად ვსაუბრობთ, როგორც სამუშაო შეხვედრებზე, ასევე სოციალური ქსელებისა და ტელევიზიების მეშვეობით.

შრომით ურთიერთობაში დომინირებული მხარე მაინც დამსაქმებელი გამოდის. იგი აღჭურვილია სამართლებრივი და ფინანსური ბერკეტებით, თავად განსაზღვრავს და თავად სთავაზობს დასაქმებულს შეთანხმებას შრომითი ურთიერთობის პირობების შესახებ. დასაქმებულის თავისუფალი ნებაა, დაეთანხმება თუ არა ამ პირობებს. ამავდროულად, შრომითი ურთიერთობა თავისი ხასიათით ისედაც სუბორდინაციაზეა აგებული.

შეტანილი ცვლილელებების გათვალისწინებით, ახალ კოდექსში, განსხვავებით ძველისგან, უფრო დაბალანსირებულია მხარეთა შორის ურთიერთობები. ასევე, ძველი კანონმდებლობის ძირითადი პრობლემა იყო შეუსაბამობა საერთაშორისო ვალდებულებებთან, რატიფიცირებულ კონვენციებთან, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად. დამსაქმებლები გაცილებით მეტი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ვიდრე დასაქმებულები, თუმცა კანონი მათ ამჟამად ნათლად უსაზღვრავს ვალდებულებს.

არ შემიძლია, არ შევეხო შრომითი უსაფრთხოების საკითხებს. რატომღაც გვგონია, რომ შრომის უსაფრთხოება მაინცდამაინც მაღაროში ან მშენებლობაზე მომუშავე პირთათვის უნდა იყოს დაცული და ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა.

> ახალ კოდექსში, განსხვავებით ძველისგან, უფრო დაბალანსირებულია მხარეთა შორის ურთიერთობები.



სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ პირთათვის შრომით უფლებებზე განსხვავებული მიდგომა შესაძლებელია ჩავთვალოთ როგორც დისკრიმინაცია.

კერძო სექტორში დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია შრომითი უსაფრთხოება, შრომითი უფლებების დაცვა. მიუხედავად ცვლილებებისა, დღემდე არასაკმარისად არის მოწესრიგებული კერძო სექტორში დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. ასევე, ბევრ სამუშაო ადგილას არაა დასაქმებულთა შრომითი უფლებები დაცული.

სწორედ ამიტომ გახდა შრომით კოდექსში ცვლილებების შეტანა, ასეთი ამაღელვებელი დამსაქმებლებისთვის. პოზიციას საჯაროდ, მედიის მეშვეობით აფიქსირებდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ მათი შემოწმება გამოიწვევდა უმუშევრობას, ხელფასების შემცირებას. ამის ნათელი მაგალითი გახლდათ საქართველოს დამსაქმებლების მიერ გამოთქმული მოსაზრება, რის თანახმადაც ნებისმიერი სიახლე, რაც დასაქმებულს სამართლებრივად უკეთეს მდგომარეობაში აყენებდა, საფრთხეს შეიცავდა.

დამსაქმებლები აპელირებდნენ და აპელირებენ, რომ განხორციელებული ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას მოახდენს, ანუ ისინი საუბრობდნენ ნეგატიურ ეფექტებზე და არა რეალურად კერძო სეტქორში სხვადასხვა მომსახურების სფეროში დასაქმებულთა გაუსაძლის მდგომარეობაზე. სამუშაო საათების შემცირება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, შვებულება, სტაჟირების საკითხი, კონტროლი ამ ყველაფერზე მათთვის მიუღებელი და საფრთხის შემცველ საკითხს წარმოადგენდა, რაც სამწუხაროა, რადგან ისინი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენად აფასებდნენ დასაქმებულთათვის ნებისმიერ პოზიტიურ ცვლილებას კანონმდებლობაში.

დამსაქმებლები საუბრობდნენ ჩიხზე, რომელშიც შეიძლება შესულიყვნენ დასაქმებული და დამსაქმებელი. ვინაიდან დასაქმებულების უფლებები არ იყო დაცული და მათ უწევდათ თვეობით, წლობით დავებში ჩართვა დამსაქმებელთან, მათთვის ის პოზიტიური ცვლილებები, რაც კანონით გაიწერა, მისასალმებელია. დამსაქმებელმა უნდა გაიაზროს ის პასუხისმგებლობა, რაც გააჩნია თითოეული დასაქმებულის წინაშე. აქ იგულისმება, როგორც შრომითი უსაფრთხოების საკითხი, ისე შრომითი უფლებების დაცვა. ბევრი პრეცენდენტია იმისა, თუ როგორ ცდილობენ დამსაქმებლები დასაქმებულები ჩააგდონ ისეთ მდგომარეობაში, რომ თვითონ დატოვონ სამუშაო ადგილები. შრომით ურთიერთობაში ევალებათ ერთი და აკისრებენ ფიზიკურად დატვირთულ სხვა სამუშაოს, ურღვევენ შრომით უფლებებს.

> დამსაქმებელმა უნდა გაიაზროს ის პასუხისმგებლობა, რაც გააჩნია თითოეული დასაქმებულის წინაშე.

ტელევიზიით გამოსვლისას ამ ყველაფერს დასაქმებულები გარკვეულწილად აღიქვავენ როგორც სადამსჯელო ქმედებას, იყო განსაზღრული წინააღმდეგობებიც. რეალურად, ვფიქ-

რობ, ისინი მეტი პასუხისმგებლობით განეწყობიან, რათა ნებისმიერი სამართალდარღვევა გარდა, იმისა რომ ინდივიდუალურ დავას შეეხება, ასევე მნიშვნელოვანი იქნება შემდგომი მისი საქმიანობისა და სახელისათვის.

ჩვენი ყველას მიზანია, ჩავერთოთ აქტიურად არა მხოლოდ დასაქმებულების, არამედ დამსაქმებლების უფლებათა დაცვაში, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირია შრომითი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე შემთხვევები იმისა, თუ როგორ გააზრებულად ირღვევა ადამიანის შრომითი უფლებები სამუშაო ადგილებზე. არის შემთხვევები, როდესაც მოქალქეები იმასაც ვერ არკვევენ, თუ ვისთან იმუშავეს, ვინ არის მისი დამსაქმებელი, ვის მოსთხოვონ შრომის ანაზღაურება. კერძოდ, ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების მიერ შესასრულებელ ფიზიკურ სამუშაოებზე, ისინი შუამავლის მეშვეობით ახორციელებენ დასაქმებულებთან ურთიერთობებს, და მიუხედავად დავებისა, ვერ მივდივართ შედეგამდე, რადგან შესაძლებელია, აღსრულების ეტაპზე კომპანიებს არ ჰქონდეთ იმის რესურსი, რომ ელემენტარულად აანაზღაურონ გაწეული შრომა.

მოქალაქეები ასევე არ არიან ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა ხარჯები შეიძლება გაწიონ სასამართლოში დავების შემთხვევაში. თუ შრომით ანაზღაურებასთან გვაქვს საქმე, ამ შემთხევაში სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონი გვათავისულფებს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რაც ძალიან მისასალმებელია. მაგრამ დავები არა მხოლოდ შრომით ანაზღაურებაზეა, შესაძლებელია იყოს შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების წესების დარღვევაზე. ამიტომ სასურველია, აღნიშნული ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს.

ასევე, ვინაიდან შრომითი დავები ხასიათდება თავისებურებებით, უმჯობესი იქნება სწრაფი მართლმსაჯულება, რადგან ადამიანი რჩება

> მოქალაქეები ასევე არ არიან ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა ხარჯები შეიძლება გაწიონ სასამართლოში დავების შემთხვევაში.

სახსრების გარეშე, ზოგ შემთხვევაში, ფაქტობრივად საარსებო თანხის გარეშე. დავების გაჭიანურება არაა კარგი არც დასაქმებულისთვის, როგორც ავღნიშნეთ და არც დამსაქმებლისთვისაც.

ყველაფერთან ერთად, მიღწევაა ცვლილებები კანონმდებლობაში შრომით ინსპექციის მანდატთან დაკავშირებულ საკითხებში, რომელიც ეხება მონიტორინგს, როგორც შრომითი უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების განხორციელებაზე. უამრავი ბენეფიციარი ცდილობს სასამართლოს წესით დაიცვას თავისი უფლებები. შრომითი ინსპექციის გააქტიურებით შესაძლებელია შემცირდეს აღნიშნული დავებიც. დასაქმებულთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ინსპექციისადმი მიმართვისას, მისი მოთხოვნით, უნდა იყოს დაცული დასაქმებულთა ანონიმურობის საკითხი, რაც უფრო მეტ გამბედაობას შესძენს თითოეულ დასაქმებულს, იბრძოლოს საკუთარი უფლებებისთვის. სამწუხაროდ, დღემდე პრაქტიკაში იკვეთება უნდობლობის ფაქტებიც და მივესალმებით, თუ იქნება ბევრი პრეცენდენტი, როდესაც ინსპექციის შედეგად გამოვლინდება ისეთი დარღვევები შრომით ურთიერთობებში, რომელიც სტიმულს მისცემს სხვას, დაიცვას თავისი შრომითი უფლებები, ამავდროულად დასაქმებულთათვის იყოს პრეცენდენტი და ნიმუში იმისა, რომ მათი არასწო-

რი ქმედება არ იქნება უპასუხოდ დატოვებული და ყველა დამსაქმებელი განურჩევლად საწარმოს/დამსაქმებლის გავლენისა და სიდიდისა, პასუხისმგებელი იქნება თავისი ქმედებებზე.

რა თქმა უნდა, საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებების იმპლემენტაცია მოითხოვდა ცვლილებებს კანონში, რაც აისახა კიდეც. წინსვლა გვექნება, თუ ეს აღსრულებული იქნება ყველა ინდივიდის მიმართ.

რატომღაც სტატიაში ყურადღება მხოლოდ კერძო სექტორზე გავამახვილე, მაგრამ საჯარო დაწესებულებებზეც ზუსტად ისე ვრცელდება კანონით განსაზღვრული განაწესები, როგორც კერძოზე. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ აღნიშნული ისნპექცია ეხება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს, პროგრესია, რომ მათ შეუძლიათ წინასწარი შეტყობინების გარეშე შევიდნენ დღეღამის ნებისმიერ დროს ნებისმიერ შენობასა და სივრცეში. დამსაქმებელს აქვს ვალდებულება, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ინსპექტირების განსახორციელებლად, მათ შორის, თუ ის შეიცავს პერსონალურ ინფორმაციასაც.

შესაძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განისაზღვროს და გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული სახდელებიც:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა, რომლის ოდენობაც განსხვავდება საწარმოთა სიდიდისა და დარღვევის კატეგორიის მიხედვით;

გ) სამუშაო პროცესის შეჩერება

> საჯარო დაწესებულებებზეც ზუსტად ისე ვრცელდება კანონით განსაზღვრული განაწესები, როგორც კერძოზე.

ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, მისთვის განზრახ ხელის შეშლისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ანუ ნებისმიერი დამსაქმებელი ვალდებული იქნება ხელი არ შეუშალოს და პირნათლად შეასრულოს მოთხოვნა, რაც შემოწმებისას მათ წინაშე დადგება. თავდაპირველად ისინი ამას სადამსჯელო ქმედებად აღიქვავდნენ. თვალნათლივ ჩანდა მათი პოზიცია მედია საშუალებებით, მაგრამ დღესდღეობით, შრომითი კანომდებლობის აღსრულებაზე მონიტორინგს გაფართოებული მანდატით სწორედ ინსპექცია ახორციელებს.

მისასალმებელია სიახლე, რომელიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას თანაბარი ანაზღაურების შესახებ ქალისა და მამაკაცის შემთხვევაში, სამუშაო დროის რეგულირებას და ა.შ.

იმედს ვიტოვებთ, რომ კანონში შესული ყველა ცვლილება გაამართლებს იმ მოლოდინს რაც ყველა ჩვენ თანამოქლაქეს აქვს.

მაგდა შინჯიკაშვილი
თბილისის იურიდიული
დახმარების ბიუროს ადვოკატი

პირობითი მსჯავრის მიზნები

> სასჯელიც და პირობითი მსჯავრიც წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შედეგს.

პირობითი მსჯავრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია სისხლის სამართალში. ის წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა განსაკუთრებულ სახეს. მის აქტუალობას განაპირობებს მისი ხშირი გამოყენება სამოსამართლო საქმიანობაში.

პირობით მსჯავრს, როგორც სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებას, წარმოუდგენელია, იგივე მიზნები არ ჰქონდეს, რაც სასჯელს.[*1] სასჯელის, ისევე როგორც პირობითი მსჯავრის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევაც სურს სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით.[*2] სასჯელიც და პირობითი მსჯავრიც წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შედეგს. პირობით მსჯავრდებისას გამოსაცდელ ვადაში გარკვეული მოვალეობების დაკისრებითა და სათანადო ქცევაზე ზედამხედველობით სახელმწიფო მიმართულია იმავე მიზნების განხორციელებისკენ, რისკენაც მიისწრაფვის მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნისას.[*3]

პირობით მსჯავრს, ისევე როგორც სასჯელს, აქვს როგორც უტილიტარული, ისე არაუტილიტარული მიზანი: უტილიტარული მიზანი გულისხმობს სასარგებლო ეფექტს, რაც გამოიხატება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებადობასა და დამნაშავის რესოციალიზაციაში. ხოლო არაუტილიტარული მიზანი ვლინდება სამართლიანობის აღდგენაში.[*4]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ სასჯელის მიზნები, კერძოდ, სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. პირობითი მსჯავრის მიზნები სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული არ არის. „პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიურ, სამართლიან და გარდაუვალ რეაქციის გამოხატულების ფორმას“[*5], ამიტომ მას გააჩნია ზუსტად იგივე მიზნები, რაც სასჯელს.

1 სამართლიანობის აღდგენა – პირობითი მსჯავრის მიზანი

*1 იხ. ი. დვალიძე, სისხლი სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები), თბილისი, 2013, გვ. 128

*2 იხ. მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი", N4, 2014, გვ. 18

*3 იხ. ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128

*4 იხ. მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი", N4, 2014, გვ. 20

*5 მ. ქათამაძე, პირობითი მსჯავრი, როგორც ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმა, ჟურნალი ,,სამართალი", N11-12, 2002, გვ. 93

*6 იხ. ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25-26

*7 იხ. იქვე.

*8 იხ. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ. 58

*9 იხ. ი. დვალიძე, დასახ.ნაშრ., გვრ.27

*10 იხ. იქვე.

*11 იხ. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 59-60

სამართლიანობა თავისი არსით მრავალასპექტიანი მოვლენაა. სახელმწიფოში სამართლის არსებობის პირდაპირი დანიშნულება ადამიანთა თანაცხოვრების სამართლიანი მოწესრიგებაა,*6 შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირობითი მსჯავრის, როგორც სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების, უპირველესი მიზანი სამართლიანობის აღდგენაა.

სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს, სამართლიანობა შეფასებითი კატეგორიაა და შეუძლებელია ერთიანი სტანდარტის დადგენა. სამართლიანობა არის ის უმთავრესი კრიტერიუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს, როგორც კანონმდებელი, ისე ნორმის შემფარდებელი.*7 არისტოტელეს განმარტებით, „სამართლიანობა არის სამართლის ღირებულებითი მასშტაბი".

ჩადენილი დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის უმთავრესი მიზანია საზოგადოებასა და დაზარალებულ პირს დაუბრუნოს სამართლიანობის უზენაესობის შეგრძნება, რასაც გულისხმობს სამართლიაონობის აღდგენა, თუ ეს ასე არ მოხდება, მხოლოდ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა, ვერ ჩაითვლება სამართლიანობს აღდგენად.*8

სამართლიანობის აღდგენა მაშინ არის საჭირო, როცა დაირღვევა არსებული მდგომარეობა და მისი აღდგენისთვის საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება.*9 მართალია, პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნება ზოგჯერ შეუძლებელია, მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში, მაგრამ თუკი საზოგადოებას გაუჩნდება უსაფრთხოების განცდა და კანონის უზენაესობის ქმედითობის შეგრძნება, სამართლიანობის აღდგენის მიზანი განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს.*10

> არისტოტელეს განმარტებით, „სამართლიანობა არის სამართლის ღირებულებითი მასშტაბი".

სამართლიანობის აღდგენის მიზანი პირდაპირ კავშრიშია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის პროპორციული სასჯელის განსაზღვრასთან. სასჯელი დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების ადეკვატური უნდა იყოს. სამართლიანობის აღდგენას ემსახურება სასამართლოს მიერ დანიშნული ისეთი სასჯელი, რომელიც შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და დაზარალებულის ინტერესებს.*11 ცნობილი ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დანაშაულსა და სასჯელსა შორის პროპორციის დაცვას. აშკარად შეუსაბამო და ალოგიკურ

> სასჯელი დამნაშავის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების ადეკვატური უნდა იყოს.

სასჯელს უბუდურებისა და საზოგადოებაში სამართლებრივი ნიჰილიზმის გამოწვევა შეუძლია.[*12] ამდენად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიება ადეკვატური უნდა იყოს, ადეკვატურობა კი მაშინ გვაქვს სახეზე, თუ ის დანაშაულის თანაზომიერი და თანაზომადია.[*13]

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე პირობითი მსჯავრის, როგორც სახელმწიფო იძულების სისხლისსამართლებრივი ღონისძიების, უპირველესი მიზანიც სამართლიანობის აღდგენაა.

2 ახალი დანაშაულის აცილება – პირობითი მსჯავრის მიზანი

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამნაშავის „დასჯასთან“ ერთად ძირითადი ყურადღება მისი გამოსწორებისათვის საჭირო „ღონისძიებებზეა“ გადატანილი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომავალში დანაშაულის

თავიდან აცილება.[*14] ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში პლატონი თავის „კანონებში“ აღნიშნავდა, რომ უპირველესად სახელმწიფომ დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუფარდოს არა იმიტომ, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, არამედ იმისთვის, რომ მომავალში არც მან და არც სხვამ აღარ დაუშვას დანაშაულის ჩადენა. [*15]

სასჯელის ერთ-ერთი მიზანს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. სასჯელის გარდაუვალობას ზოგადპრევენციული ფუნქცია აქვს.[*16] სისხლის სამართლის თეორიაში ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას პრევენცია ეწოდება. პრევენცია[*17] ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წინასწარი ზომების მიღებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული რაიმე. სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს ორი სახის პრევენცია – გენერალური (ზოგადი) და კერძო პრევენცია. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება რომ პრევენციის ორივე სახის განხორციელებას ემსახურება, ამაზე მეტყველებს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა იმის შესახებ, რომ „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით.“ ე.ი. ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი გულისხმობს, რომ ახალი დანაშაული არ უნდა იქნეს ჩადენილი როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მიერ.[*18] გენერალური პრევენცია მიმართულია საზოგადოებაზე ზემოქმედებისკენ, სპეციალური პრევენცია კი – მსჯავრდებულზე.

- დანაშაულის თავიდან აცილების გენერალურ პრევენციას ემსახურება სისხლის სამართლის კანონი გამოქვეყნების მომენტიდან, მას შედეგ, რაც მოხდება ქმედების კრიმინალიზაცია და მეორე მხრივ, კონკრეტული პირის მიმართ სასჯელის დანიშვნა და აღსრულება.[*19]

ზოგადი პრევენციისგან განსხვავებით, სასჯელის კერძო პრევენცია ხორციელდება მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, რაც გულისხმობს, რომ სასჯელის დანიშვნისა და

> სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს ორი სახის პრევენცია – გენერალური (ზოგადი) და კერძო პრევენცია.

მისი მოხდის შემდეგ მსჯავრდებულს აღარ უნდა ჰქონდეს სურვილი, ხელმეორედ ჩაიდინოს დანაშაული.*20

საინტერესოა, რამდენად უზრუნველყოფს პირობითი მსჯავრი გენერალური და კერძო პრევენციების განხორციელებას? პირობითი მსჯავრდებისას დამნაშავეს სახელმწიფო/სასამართლო უცხადებს ნდობას და გამოსაცდელი ვადისა და გარკვეული უფლება-მოვალეობების დაკისრებით ტოვებს თავისუფლებაში. მართალია, ზოგადი პრევენცია ხორციელდება სასჯელის დანიშვნამდეც, თუმცა ზოგადი პრევენცია ასევე ხორციელდება კონკრეტული პირის მიმართ სასჯელის დანიშვნითაც, რადგან საზოგადოებისთვის ნათელი ხდება, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ რჩება.*21 პირობითი მსჯავრი მისი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ვერ უზრუნველყოფს გენერალური პრევენციის მიზნების განხორციელებას, რადგან პირობითად ჩათვლილი სასჯელი საზოგადოებისთვის ნაკლებად აღქმადია; მაგალითად: საზოგადოება, რომლისთვისაც ცნობილია, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა თაღლითობა და ამ პირს ხედავს სრულ თავისუფლებაში, ყოველგვარი სასჯელის რეალური მოხდისგან თავისუფალს. პირობითი მსჯავრის ზოგადის პრევენცია საზოგადოების წევრებზე ვერ ახდენს გავლენას ვერც ნეგატიური ე.ი. გაფრთხილების თვალსაზრისით, რომ თუ ისიც იმავე ქმედებას ჩაიდენს, აუცილებლად დაისჯება, და ვერც პოზიტიური გენერალური პრევენციის გზით – რადგან საზოგადეობა ვერ აღიქვამს სასჯელის მუქარას, მართლშეგნების ამაღლებაც ვერ ხერხდება. ზოგჯერ კი შეიძლება აღმოჩნდნენ საზოგადოებაში ერთეული წევრები, რომელთაც შეექმნებათ ილუზია, რომ ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად, ქმედების ჩამდენს სახელმწიფო არ სჯის და გაუჩნდებათ სურვილი, მათაც განახორციელონ იგივე ქმედება იმ იმედით, რომ დაუსჯელი დარჩებიან.

*12 იხ. ზ. ნანობაშვილი, სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, ჟურნალი ,,სამართალი", N1-2, 1998, გვ. 62

*13 იხ. გ. თუმანიშვილი, სასჯელის ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი" N1-2, 2003, გვ. 127

*14 იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედაქტორი ი. დვალიძე, თბილისი, 2010, გვ. 15

*15 იხ. ზ. ნანობაშვილი, სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, ჟურნალი ,,სამართალი", N1-2, 1998, გვ. 59

*16 იხ. ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ., 29

*17 ლათ. Praeventio

*18 იხ. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 61

*19 იხ. ი ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ. 64

*20 იხ. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 75-76

*21 იხ. ფ. ადლერი, გ. ო. ვ. მულერი, ვ. ს. ლაუფერი, შედარებითი კრიმინალოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ-ში, გვ. 159

*22 იხ. ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29

3 დამნაშავის რესოციალიზაცია – პირობითი მსჯავრის მიზანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია დამნაშავის რესოციალიზაცია. დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანი მხოლოდ დამნაშავის პიროვნებას ეხება. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ურთიერთობას საზოგადოების წევრებთან. მშვიდობიან თანაცხოვრებას საზოგადოება ახერხებს მათში დამკვიდრებული ნორმების, ზოგადი ქცევის წესების შესრულებითა და ღირებულებების პატივისცემით. იმისთვის, რომ მოხდეს პიროვნების სოციალიზაცია, მან უნდა გაითავისოს საზოგადეობის ერთობლივი თანაცხოვრებისათვის აუცილებელი ზემოაღნიშნული პრინციპები.*22

> დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანი მხოლოდ დამნაშავის პიროვნებას ეხება.

*23 იხ. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ. 87

*24 იხ. ი. დვალიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 30

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის განმარტება მოცემულია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის მიხედვითაც, „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმის პატივისცემისა და პასუხიმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.“

რესოციალიზაცია მსჯავრდებულის კანონმორჩილ მოქალაქედ გარდაქმნის პროცესია.*23 „დამნაშავის რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელება ყოველთვის მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ესაა კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა, რომელიც, ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას.“ რესოციალიზაციის მიზნის განხორციელება მოითხოვს დამნაშავის პიროვნების ძირფესვიანად შესწავლას, მისი ფსიქოლოგიური, სამედიცინო თუ სხვა საჭიროებების განსაზღვრას და ხელშეწყობას. რესოციალიზაციის პროცესი ხანგრძლივია და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდგომაც, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ნასამართლევი პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას.*24

პირობით მსჯავრის, ისევე როგორც სასჯელის, ერთ-ერთ მიზანს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია წარმოადგენს. პირობით მსჯავრდებისას, დამნაშავის რესოციალიზაციისას შესაძლებელია ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებას წავაწყდეთ: პირველი, როდესაც რესოციალიზაციის განხორციელება უფრო მარტივი და ადვილად მიღწევადია: მსჯავრდებული იმყოფება თავისუფლებაში, თუმცა მისი ეს თავისუფლება პირობადადებულია, გამოსაცდელი ვადაში მას უწევს სასამართლის მიერ განსაზვრული პირობების ზედმიწევნით შესრულება. ამის მიუხედავად, ის აგრძელებს სოციალურ გარემოში ჩვეულ ცხოვრებას, ხშირ შემთხვევაში რჩება იგივე სამსახურში და საზოგადოებისთვის უცნობ ფაქტადაც კი რჩება მისი მსჯავრდება. ის იაზრებს მის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის სიმძიმეს და გამოსაცდელი ვადის დასრულების შედეგად წინდახედულობის ნორმებისადმი მეტი პატივისცემით განიმსჭვალება. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა მივიღოთ სიტუაცია, როდესაც საზოგადოების წევრებისათვის ცნობილია, რომ მათ უხდებათ მსჯავრდებულის გვერდით ცხოვრება, უჩნდებათ ერთგვარი შიშის განცდა და ორიენტირებულნი არიან „შორს დაიჭირონ თავი“ პირობით მსჯავრდებულისგან, რაც იწვევს ამ უკანასკნელის გაუცხოებას, შესაბამისად, რთულდება რესოციალიზაციის პროცესი. სახელმწიფოსაც, რომელიც ვერ ახორციელებს ყოველდღიურ და ყოველწუთიერ ზედამხედველობას პირობით მსჯავრდებულზე, შესაძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს პირობით მსჯავრდებულის ის საჭიროებანი, რაც აუცლიებელია მისი რესოციალიზაციისთვის. შესაბამისად, პირობით მსჯავრდებისას შესაძლებელია გართულდეს კიდეც რესოციალიზაციის პროცესი. ამრიგად, პირობითი მსჯავრის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს დამნაშავის რესოციალიზაცია, რომლის მიღწევის გზაზე შესაძლებელია წავაწყდეთ ორ ურთიერთსაპირისპირო სიტუაციას, ერთის მხრივ, გაადვილდეს ეს პროცესი და მეორეს მხრივ – გართულდეს.



ფოტო ამბები

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ წარდგენა. (ბათუმი)

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ წარდგენა. (თბილისი)

დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრის გახსნა

ახმეტის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა

„ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ დეკლარაციის ხელის მოწერა

ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა

ონის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა

ხაშურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა

იმიტირებული სასამართლო
პროცესი ქუთაისში

იმიტირებული სასამართლო პროცესი
თელავში

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება
იურიდიული დახმარების სამსახურში
„მომავალი არის დღეს“

ზაზა ჯღარკავა

ფოტომასალა: საქართველოს ეროვნული არქივი

ოკუპაციას გადარჩენილი განძი

კოჯორი, ტაბახმელა, შავნაბადა, სოღანლუღი, ლოჭინი და ლილო. დღეს ეს ადგილები ბევრ ადამიანში მხოლოდ სააგარაკე ნაკვეთების ასოციაციას იწვევს, არადა ზუსტად 100 წლის წინ ამ 40-კილომეტრიან ზოლზე გადიოდა ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის ბედი.

თებერვლის იმ სუსხიან დღეებში რუსული ბოლშევიზმი განადგურებით დაემუქრა ყველას და ყველაფერს, ქართული სახელმწიფოებრიობით დაწყებული, მატერიალური თუ არამატერიალური ფასეულობებით დამთავრებული.

ამ ფასეულობების გადარჩენა ზურგში დარჩენილი ქართველებისგან ზუსტად ისეთივე თავგანწირვას მოითხოვდა, როგორც იმ 12 ათასი ქართველი ჯარისკაცისგან, რომლებიც იმ დროს გაყინულ სანგრებში წითელი არმიის შემოტევებს იგერიებდა.

ფრონტის ხაზის პარალელურად თბილისში, მუზეუმებში ეროვნულ საგანძურს საგულდაგულოდ აღრიცხავდნენ, სპეციალურ ყუთებში ალაგებდნენ, ლუქავდნენ და საევაკუაციოდ ამზადებდნენ.

რომ არა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები, საგანძურის ევაკუაციის დეტალებს ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებდით. ვერ გავიგებდით, თუ როგორ და რატომ მოხდა საგანძურის ევაკუაცია და რა უძღოდა წინ ამ გადაწყვეტილებას 1921 წლის 19 თებერვლის დილას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

> რომ არა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები, საგანძურის ევაკუაციის დეტალებს ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებდით.



ექვთიმე თაყაიშვილი / იოსებ ელიგულაშვილი

აი რას იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი: *„წითელი არმია თბილისს უახლოვდებოდა, მიბარებს ივანე და მეუბნება: ხომ ხედავ, ექვთიმე, მოდის რუსის ჯარი, მტრობით და სიძულვილით, ისინი დაარბევენ და გაძარცვავენ ჩვენს ეკლესიებს, მუზეუმებს და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს; ამიტომ ახლავე შენ უნდა ნახო მთავრობის თავმჯდომარე, გააცნო ჩვენი ეროვნული განძეულობის გაძარცვა-დაღუპვის საშიშროება. ის ახლავე უნდა შეგროვდეს და საქართველოდან დროებით უცხოეთში უნდა გაიტანოთ გადასარჩენად.*

მე მაშინვე თანხმობა განვუცხადე ივანეს და საჩქაროდ წავედი სასახლეში. იმ დროს შინ ნოეს ნახვა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მე მან დაუყოვნებლივ მიმიღო, მომისმინა და მაშინვე გამოაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი – თანაშემწე ფინანსთა მინისტრის (კონსტანტინე კანდელაკის), კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი. ბატონ ნოემ მას უთხრა: იოსებ, შენ თანამშომლობ ექვთიმესთან. გაძლევთ სრულ უფლებას, იმოქმედოთ თქვენი შეხედულებებისდა მიხედვით განძეულობის შესაკრებად, გაძლევთ უფლებას ყოველგვარი ტრანსპორტის რეკვიზიციისას და საჭირო თანხებს. იქვე უკარნახა ეს ბრძანება მის მდივანს, ხელი მოაწერა და გადმომცა: მხოლოდ, – დააყოლა, – ექვთიმე, შენ ინიშნები განძეულობის გამგედ და უცხოეთშიდაც უნდა გამოჰყვე ამ განძეულობას ამ უფლების გამოყენების შენახვით. ასლს განძეულობის აღწერილობისას სათანადო თქვენი და თქვენ მიერ შედგენილი კომისიის ხელის მოწერით დასტოვებთ, სადაც თქვენ საჭიროდ დაინახავთ.

მე უარი განვაცხადე უცხოეთშიდ წასვლაზედ, მოვახსენე, – მე ოჯახობას მარტო ვერ დავტოვებ-მეთქი. ბატონ ნოემ ცივად მიპასუხა: მეუღლესაც წამოიყვან და იქვე უკარნახა მდივანს ბრძანებულება ჩემი და იოსების (ელიგულაშვილის) ჩემს თანაშემწედ დანიშვნისა. ხელი მოგვაწერინა, ასლი მდივანს გადასცა, გვისურვა წარმატება და გვითხრა – მე ყოველთვის თქვენს განკარგულებაში ვარ, არ მომერიდოთ – მაგრად ხელი ჩამოგვართვა და დაგვემშვიდობა.“

ივანე ჯავახიშვილის შიში უსაფუძვლო არ იყო. 1917 წლის ოქტომბერში კერენსკის მთავრობის ჩამოგდების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკური მთავრობა, მიზანმიმართულად შეუდგა ერმიტაჟის საცავებიდან სამუზეუმო ექსპონატების გამოტანას და გაყიდვას.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ლენინის მთავრობამ, დაცარიელებული ხაზინის შევსების ერთ-ერთ წყაროდ სწორედ ერმიტაჟის და სხვა მუზეუმების ანტიკვარული ნივთების გაყიდვა ჩათვალა. გარდა ამისა, ლენინის მთავრობა ბუნტის შიშით თვალს ხუჭავდა მუზუმების გახშირებულ ძარცვაზეც, საიდანაც მოპარულ ნივთებს დამშეული ადამიანები იქვე ბაზრებში ჰყიდდნენ ან საკვებში ცვლიდნენ.

ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ ოკუპაციის შემთხვევაში ბოლშევიკები ქართულ ეროვნულ საგანძურსაც იგივე ვერდიქტს გამოუტანდნენ. ამიტომ წითელ არმიაზე სრულ გამარჯვებამდე, ქართული საგანძურის უსაფრთხო ადგილზე გატანა, ჯავახიშვილის აზრით, ჟორდანიას მთავრობის მთავარი საზრუნავი უნდა გამხდარიყო.

19 თებერვალს, როცა ნოე ჟორდანიამ ეროვნული საგანძურის ევაკუაციის ბრძანებას ხელი მოაწერა, ქართულმა ჯარმა ფრონტზე არნახულ გამარჯვებას მიაღწია. 11-13 თებერვალს ლორესთან სასტიკი დამარცხების შემდეგ ეს პირველი წარმატება იყო. 19 თებერვლს სოღანლუღსა და ქვემო ფონიჭალასთან ქართულმა ჯარმა წითელი არმია პირწმინდად გაანადგურა. ბოლშევიკთა გადარჩენილმა ნაწილებმა იაღლუჯისა და სადახლოს მიდამოებს ძლივს შეაფარა თავი.

19 თებერვალის შუადღეს თბილისში მარშირების ნაცვლად, წითელი არმიელები რუსთაველის გამზირზე მიიზლაზნებოდნენ. მაშინდელი გაზეთების მიხედვით, იმ დღეს რუსთაველზე 2 ათასამდე ტყვე ჩამოატარეს.

იმავე დღეს სოღანლუღსა და ფონიჭალასთან გამარჯვების შემდეგ თბილისის დაცვის ეპიცენტრმა კოჯორი-ტაბახმელას მიმართულებით გადაინაცვლა. აქ წითელარმიელებს კოჯორი უკვე აღებული ჰქონდათ და ტაბახმელას გავლით ქართული ჯარის ალყაში მოქცევას ცდილობდნენ. კოჯორი-ტაბახმელას ფრონტის პარალელურად, წითელმა არმიამ შეტევა წამოიწყო ასევე სოჭის და დარიალის მიმართულებებზეც. მიუხედავად ერთდროული შეტევისა, წითელ არმიას ყველა ფრონტზე უკან დახევა მოუწია.

20 თებერვალს ქართულმა ჯარმა წითელი არმიელებისგან მთლიანად გაწმინდა კოჯორი-ტაბახმელას მიმართულება და სოფელი კოჯორი თავისი სიმაღლეებით კვლავ უკან დაიბრუნა. ფრანგული კრეისერების დახმარებით წარმატებული იყო ქართული ჯარის მოქმედებები სოჭის მიმართულებითაც, ხოლო დარიალთან ბოლშევიკთა მოწინავე რაზმებს დუშეთის ბატალიონი გაუსწორდა.

უშედეგო იყო წითელ არმიელთა შეტევა მტკვრის მარცხენა სანაპიროსთანაც ნავთლუღის მიმართულებით. აქ სახალხო გვარდიამ ჯერ მოიგერია მტრის შეტევა, ხოლო შემდეგ, თვითონ გადავიდა იერიშზე და სადგური ვაზიანი აიღო. წითელმა არმიამ 12 კილომეტრით უკან დაიხია და დღევანდელ გაჩიანთან გამაგრდა.

კოჯორთან და ნავთლუღთან წითელი არმიის განადგურების ამბავი თბილისში მალევე გავრცელდა. გამარჯვებამ კიდევ უფრო მტკიცე გახადა მოსახლეობის საბრძოლო განწყობა, თუმცა ამ ამბავს გავლენა არ მოუხდენია უნივერსიტეტის მესამე სართულზე შეკრებილ ადამიანებზე, სადაც საგანძურის აღრიცხვა და ყუთებში ჩალაგება კვლავ სწრაფი ტემპით გრძელდებოდა.

მაშინ თბილისში სულ ორიოდე სამუზეუმო ნაგებობა იყო, ამიტომ ეროვნული საგაძურის დიდი ნაწილი, გარდა კავკასიის მუზეუმისა და სამხატვრო გალერეისა, თბილისის უნივერსიტეტში ინახებოდა.

აქ, უნივერსიტეტის მესამე სართულზე სამუზეუმო განყოფილებაში ინახებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმების საგანძურები. ამ სამუზეუმო განძეულობაში იყო როგორც ქართული ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლები, ისე ჩვენი ძველი ხელნაწერები, მათ შორის „ვეფხისტყაოსნისა“.

სამუზეუმო ნივთების აღწერა, შეფუთვა და

> ახლა მთავარი იყო ამ დალუქული ყუთების რკინიგზის სადგურამდე მიტანა და ქუთაისში უსაფრთხო გადატანა.

ხის კონტეინერებში დასაწყობება 21 თებერვალსაც გაგრძელდა და იმავე დღეს დასრულდა. ახლა მთავარი იყო ამ დალუქული ყუთების რკინიგზის სადგურამდე მიტანა და ქუთაისში უსაფრთხო გადატანა.

21 თებერვალს თბილისში ფრონტიდან კვლავ სასიხარულო ამბები მოვიდა, კოჯრის მიმართულებით წითელი არმიის ღამის შეტევები ისევ მარცხით დასრულდა, სახალხო გვარდიამ ბოლშევიკებს უკან კოდამდე დაახევინა. წარმატებული აღმოჩნდა ფრონტის მარცხენა სექტორთან ქართული ჯარის მოქმედებები მთავარსარდალ გენერალ კვინიტაძის მეთაურობით.

სოფელ ლილოსთან ნახევრად ალყაში მოქცეულმა რუსულმა ქვედანაყოფებმა მხოლოდ გაქცევით უშველეს თავს. თბილისის აღების 3-დღიანი შტურმი ბოლშევიკებისთვის უშედეგო აღმოჩნდა.

ფრონტზე ქართველების სასარგებლოდ განვითარებულ მოვლენებზე ისიც მიანიშნებდა, რომ თბილისში, 21 თებერვალს, საღამოს ათ საათზე დამფუძნებელი კრების დეპუტატები მთავრობის სასახლეში (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) შეიკრიბნენ და საქართველოს კონსტიტუცია მიიღეს.

22 თებერვალს წითელი არმიამ თბილისზე შეტევა კვლავ განაახლა. რუსულმა კავალერიამ კოდადან ახალი შეტევა წამოიწყო და კოჯორს მანგლისის მხრიდან შეუტია. მანგლისის აღების შემდეგ წითელი არმიის ცხენოსნები კოჯრისკენ დაიძრნენ, თუმცა ისევ უშედეგოდ. მათი კავალერიის მეწინავე ჯგუფები ქართულმა არტილერიამ შეაჩერა. ბოლშევიკებისათვის უკვე აშკარა იყო, რომ პირდაპირი შტურმით თბილისის აღება შეუძლებელი იყო.

23 თებერვლიდან წითელმა არმიამ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა. დაიწყო ძალების გადაჯგუფება და 40-კილომეტრიანი ფრონტის ხაზის კიდევ უფრო დაგრძელება. ამ დღეს ბოლშევიკებმა მოახერხეს აფეთქებული ფოილოს ხიდის აღდგენა, საიდანაც რკინიგზით დამატებითი ცოცხალი ძალა, ჯავშანმანქანები და ტანკები შემოიყვანეს.

23 თებერვლის მდგომარეობით ფრონტის ხაზი იწყებოდა წყნეთიდან, კოჯორი-ტაბახმელას გავლით, თელეთის ქედით ეშვებოდა სოღანლუღთან და მიდიოდა მტკვრამდე. თავდაცვის ამავე ხაზს განეკუთვნებოდა მცხეთის მიმართულებაც, სადაც ნახშირგორის მთაზე ასამდე მოხალისე იყო გამაგრებული. თავდაცვის ხაზის ბოლო მონაკვეთს მტკვრის მარცხენა სანაპირო წარმოადგენდა, რომლიც იწყებოდა უშუალოდ მტკვრის სანაპიროდან, მიუყვებოდა მდინარე ლოჭინს და მთავრდებოდა სოფელ დიდ ლილოსთან.

23 თებერვალმა ფრონტზე შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით თავდაცვის ხაზის მარცხენა სექტორს მდინარე

> 24 თებერვალს ფრონტის ყველა მიმართულებაზე ქართულმა სარდლობამ 12 ათას მებრძოლს მოუყარა თავი.

მტკვრიდან ლილომდე, სადაც რუსებმა სადგური ვაზიანი ისევ დაიკავეს. ფრონტის ხაზის სხვა მონაკვეთებზე ქართულმა ჯარმა პოზიციები უცვლელად შეინარჩუნა. ფრონტი ხაზზე დროებითმა სიმშვიდემ დაისადგურა.

ამ დროს თბილისში, უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი დალუქული ყუთების საბოლოო აღრიცხვას აზუსტებდნენ, რის შემდეგაც დალუქულ ყუთებს რკინიგზის სადგურზე აგზავნიდნენ. საიდუმლო ტვირთი 24 თებერვალს ქუთაისში ჩავიდა. ტვირთთან ერთად ქუთაისში ჩავიდნენ ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილიც.

აი როგორ იხსენებს ამ დღეს ექვთიმე თაყაიშვილი: *„სამუზეუმო ნივთების მეთვალყურეობა ნ. ყიფიანმა, საქართველოს (ყოფ. კავკასიის) მუზეუმების გამგემ გააყოლა ჩვენგან კარგად ცნობილი იონათამაშვილი. რომელმაც მოგვიტანა წერილობითი დამოწმება, რომ ქუთაისის ხაზინამ უკლებლად მიიღო გაგზავნილი სამუზეუმო ნივთები. ის დამოწმება ყიფიანმა მე მაჩვენა.“*

კატასტროფამდე ჯერ კიდევ სრული 24 საათი იყო დარჩენილი. 24 თებერვალს ფრონტის ყველა მიმართულებაზე ქართულმა სარდლობამ 12 ათას მებრძოლს მოუყარა თავი. ფოილოს ხიდის აღდგენის შემდეგ კი წითელი არმიის შემადგენლობამ 22 ათასს გადააჭარბა. საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა წითელ არმიას შეიარაღებაშიც.

24 თებერვლის გამთენიისას ცოცხალი ძალით და ახალი შეიარაღებით გაძლიერებულმა წითელმა არმიამ ერთდროული შეტევა წამოიწყო ფრონტის მთლიან ზოლზე. ბრძოლები საღამომდე გაგრძელდა, რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, დიდი ლილოდან მოყოლებული წყნეთამდე, წითელმა არმიამ ქართველების დაცვის ხაზი ვერსად გაარღვია.

ქართული ჯარის წარმატება მაინც მყიფედ გამოიყურებოდა, მოშიშვლებული ზურგი და რეზერვის არარსებობა მანევრის საშუალებას უსპობდა გენერალ კვინიტაძეს.

სწორედ ამ ფაქტორით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და ქართული ჯარის თავდაცვის ხაზს ფლანგებიდან შეუტიეს. წითელი არმიის კავალერიამ ერთი შეტავა მანგლისიდან ნახშირგორის მიმართულებით წამოიწყო, ხოლო მეორე, საპირისპირო მხარეს – მარტყოფიდან ავჭალისკენ.

წითელმა კავალერისტებმა აიღეს სოფელი მამკოდა, სოფელი გლდანი და ავჭალის რკინიგზის სადგური, ერთი შეხედვით ალყის შეკვრას თითქოს აღარაფერი უკლდა, მაგრამ ორმა ქართულმა ჯავშანმატარებელმა მოხალისეებთან ერთად ავჭალა და რკინიგზის სადგური ისევ უკან დაიბრუნა.

სოფელ ნორიოსთან ასევე განეიტრალდა ფლანგური შეტევების საფრთხეც. უკვე ცხადი იყო, რომ დამატებითი ძალების მობილიზების გარეშე ქართული ჯარი ფლანგებზე დაწოლას ვერ გაუძლებდა. რეზერვის მობილიზაცია კი საკმაო დროს მოითხოვდა.

24 თებერვლის 23 საათსა და 30 წუთზე ქართული ფრონტის ყველა სარდალმა გიორგი კვინიტაძესგან უკან დახევის ბრძანება მიიღო. გარდაუვალი ალყის თავიდან ასაცილებლად მთავარსარდლმა თბილისის დატოვებისა და

მცხეთასთან გამაგრების გადაწყვეტილება მიიღო.

გენერალ კვინიტაძის აზრით, ფრონტის ხაზის მაქსიმალური დამოკლება ქართულ ჯარს მეტი მანევრის და სულის მოთქმის საშუალებას მისცემდა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი თბილისის განთავისუფლება.

როცა გიორგი კვინიტაძემ ქართული ჯარის უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო, თბილისის რკინიგზის სადგურში მხოლოდ სამი მატარებელი იყო დარჩენილი: დამფუძნებელი კრების, მთავრობის და მთავარსარდლის. სხვა ყველა უწყება ევაკუირებული იყო ქუთაისში.

25 თებერვლის გამთენიისას წითელი არმიის მეწინავე რაზმები თბილისში შევიდნენ. მთავრობის სახლის გარდა, წითელ არმიელებმა შუადღემდე ყველა ადმინისტრაციული შენობა დაიკავეს და ლენინს მოსკოვში თბილისის აღება უპატაკეს.

ქუთაისში ემიგრირებულ მთავრობას ექვთიმე თაყაიშვილი ადგილობრივ ხაზინაში დახვდა, სადაც ლიკანიდან და ზუგდიდის მუზეუმიდან წამოსაღებ ნივთებს ელოდებოდა. *„ქუთაისის ხაზინაში დიდძალი ქონება იყო დაგროვილი: ხაზინისა, მუზეუმებისა და ეკლესიებისა. მუზეუმთა ნივთები ქუთაისის ხაზინამ უკვე ჩალაგებული და გამზადებული მიიღო, ხოლო საეკლესიო ნივთები, კ. კანდელაკის თხოვნითა და ეკლესიისა და ხაზინის წარმომადგენელთა თანდასწრებით, გადავარჩიე. რაც სამუზეუმო იყო – ჩავაწყე, რაც არა – მიტროპოლიტ ნაზარის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს ეკლესიისას ჩავაბარე სიით და ხელიც მოვაწერინე, რომ მიიღო“*, **ასე იხსენებდა ამ დღეს ექვთიმე თაყაიშვილი.**

მთავარსარდლის გადაწყვეტილებას, დაეტოვებინა დედაქალაქი და მცხეთასთან მოეწყო ახალი ფრონტის ხაზი, შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ამ გადაწყვეტილებამ დამღუპველად იმოქმედა ჯარზე და მთლიანდ ჩაკლა ჯარისკაცებში საბრძოლო სულისკვეთება. ჯარისკაცთა დიდმა ნაწილმა აღარ ისურვა ბრძოლის გაგრძელება. ახალი სანგრების გათხრის ნაცვლად, საკუთარ სოფლებში მიწის დამუშავება არჩია.

რეალურად, გენერალმა კვინიტაძემ ფრონტის ხაზის აღდგენა მცხეთის ნაცვლად მხოლოდ ხაშურთან მოახერა და კონტრშეტევაზე გადასვლისთვის მზადება სწორედ ხაშურიდან დაიწყო. მთავარსარდლის გეგმებს განხორციელება მაინც არ ეწერა. თავი იჩინა სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობასა და არმიის ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირებამ და ის ბოლო ნაპერწკალიც კი, რომელიც ბოლშევიკთა განდევნას უკავშირდებოდა, საბოლოოდ ჩაქრა.

1 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა და იოსებ



ელიგულაშვილმა უკვე იცოდნენ, რომ საგანძური ბათუმში უნდა ჩაეტანათ, ხოლო იქიდან ფრანგულ კრეისერზე გადაეტვირთათ.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონების მიხედვით, სანამ დალუქული ყუთები ბათუმის მატარებელზე დაიტვირთებოდა, ხელახლა მოხდა საგანძურის აღრიცხვა. *„კ. კანდელაკმა, მე, იოსებ ელიგულაშვილმა და ტფილისის ხაზინის გამგემ ბეკმა მთელი ღამე გავატარეთ ქუთაისის ხაზინაში, რომ ნივთები ჩაგველაგებინა, დაგვებეჭდა და ვაგზალზე გასაგზავნად გაგვემზადებინა. გადაწყვეტილი იყო, რომ ის მატარებელი, რომლითაც ნივთები იგზავნებოდა, ქუთაისიდან ბათუმის მიმართულებით უნდა გამოსულიყო ღამე, გათენებამდის... ამიტომ დიდი მუშაობა დაგვჭირდა, რომ მოგვესწრო. ყუთებს ხაზინის საერთო ნუმერაცია გაუკეთეს, რომ უფრო სწორი ანგარიში გვქონოდა“*, **იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი**

> ექვთიმე თაყაიშვილის მოგონების მიხედვით, სანამ დალუქული ყუთები ბათუმის მატარებელზე დაიტვირთებოდა, ხელახლა მოხდა საგანძურის აღრიცხვა.

განძისთვის საბოლოო ნუმერაციის მინიჭებისა და აღრიცხვის შემდეგ ყველა ყუთი ხაზინიდან ქუთაისის რკინიგზის სადგურში გადაიზიდა. სადგურში ტვირთს იოსებ ელიგულაშვილი და ხაზინის უფროსი ბეკი დახვდნენ. მათი ზედამხედველობით ხდებოდა მატარებლის საცავში ყუთების დალაგება და საიდენტიფიკაციო ბარათის თაყაიშვილთან გაგზავნა.

მხოლოდ ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ მოვიდა სადგურში ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლესთან ერთად და მატარებელიც ბათუმისკენ დაიძრა.

3 მარტს 249 ყუთში გადანაწილებული ეროვნული საგანძურით დატვირთული მატარებელი ბათუმის სადგურში შევიდა.

გართულებული ვითარების გამო საგანძური კინაღამ თურქ ასკერებს ჩაუვარდათ ხელში, თუმცა ფრანგებმა იყოჩაღეს და ფრანგი ელჩის აბელ შევალიეს შუამავლობით საგანძური 5 მარტს ფრანგულ კრეისერ „ერნესტ რენანზე“ გადაიტანეს.

კრეისერი ბათუმიდან 11 მარტს გავიდა. ფრანგმა სამხედროებმა განძის ქართველი მეთვალყურეები კრეისერზე არ აუშვეს. თუმცა, როგორც თაყაიშვილი იგონებს, რა სათვალავითაც ჩაბარა ყუთებში ფრანგებს ბათუმში, იმავე სათვალავით ჩაიბარა უკან სტამბულში. სტამბულში ფრანგული კრეისერი 14 მარტს შევიდა.

ამასობაში, 8 მარტს საქართველოს რევკომმა ჟორდანიას მთავრობას სამხედრო ოპერაციის დასრულება, ბოლშევიკური რეჟიმის ცნობა და კოალიციური მთავრობის შექმნაზე დისკუსიის დაწყება შესთავაზა. 17 მარტს, როცა ჟორდანიას მთავრობას შავი ზღვის პატარა ზოლის გარ-



> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან ევაკუირებული ეროვნული განძი 1944 წელს, უკვე საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა.

და ყველაფერი დაკარგული ჰქონდა, დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები ბათუმიდან ქუთაისში რევკომის დელეგატებთან და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან შესახვედრად ჩავიდნენ.

მოლაპარაკებები 18 მარტამდე გაგრძელდა. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები ბათუმის ოკრუგის მხარდაჭერის სანაცვლოდ, მოითხოვდნენ გასაბჭოებული საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების კანონიერად აღიარებას. სხვა ვარიანტი ჰქონდათ მომზადებული შულავერის რევკომის წევრებს, რომლებიც დამფუძნებელი კრების წარმომადგენლებს თვითლიკვიდაციის ვარიანტს სთავზობდნენ.

ბუნებრივია, ეს ორივე ვარიანტი მიუღებელი იყო ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენლებისთვის. მთავარმა მომლაპარაკებელმა გიორგი ლორთქიფანიძემ აუხსნა რუს და ქართველ ბოლშევიკებს, რომ დამფუძნებელი კრება უფლებამოსილი არ იყო ძალაუფლება გადაეცა ვინმესთვის, რადგან ამ ძალაუფლების მთავარი წყარო იყო ქართველი ხალხი, რომელმაც ეს კრება აირჩია. ამ არგუმენტის შემდეგ ბოლშევიკთა ხელისუფლების ლეგიტიმაციაზე მოლაპარაკებებმა აზრი დაკარგა.

18 მარტის ხელშეკრულების მიხედვით, ხელი მოეწერა 17 პუნქტიან შეთანხმებას, რომლის I-V მუხლების ჩათვლით ჟორდანიას მთავრობა საბჭოთა ხელისუფლებას ბათუმის ოკრუგის გაკონტროლების უფლებას აძლევდა. VI მუხლი კი ერთობლივ სამხედრო მოქმედებას ითვალისწინებდა თურქი ასკერების წინააღმდეგ.

ეს შეთანხმება, რა თქმა უნდა, არ შესრულდა. ბათუმის ოკრუგის თურქი ასკერებისგან გაწმენდა ისევ ქართულ ჯარს და გიორგი მაზნიაშვილს მოუწია. იმავე დღეს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ, პოლიტიკური პარტიების მეთაურებმა და ქართული ჯარის ოფიცრობამ ორი ფრანგული და ერთი იტალიური გემით საქართველო დატოვა.

20 მარტს საქართველოს მთავრობამ თავი მოიყარა სტამბულში, სადაც განძის დალუქული ყუთები ფრანგული კრეისერიდან ისევ ფრანგულ სამოქალაქო გემ „ბიენ-ჰოაზე“ გადაიტვირთა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ საქართველოსთან დაკავშირებით პოლიტიკურ პროცესებს მთლიანად ფრანგები და მათი ელჩი აბელ შევალიე აკონტროლებდნენ. აშკარა იყო, რომ ინგლისელთა პასიურობის გამო ჟორდანიას ხელისუფლებამ საკუთარი და ქართული სახელმწიფოს მომავალი მთლიანად საფრანგეთს დაუკავშირა.

„ბიენ-ჰოაზე“ ავიდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, მისი მეუღლე, იოსებ ელიგულაშვილი, ასევე მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და მთავრობის სრული შემადგენლობა. 20 მარტს „ბიენ-ჰოა“ სტამბულის პორტიდან გავიდა და 10 აპრილს მარსელის პორტს მიადგა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან ევაკუირებული ეროვნული განძი 1944 წელს, უკვე საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა. განძთან ერთად დაბრუნდნენ ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე. „ბიენ-ჰოას“ დანარჩენი ქართველი მგზავრებიდან სამშობლოში აღარავინ დაბრუნებულა. მათ საბოლოო განსასვენებელი საფრანგეთში, ლევილის ქართულ მამულში ჰპოვეს.

ირინა ბარბაქაძე

მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი

ხამურაბის კანონები და თანამედროვე სამართალი

ხამურაბის კანონები, ანუ ხამურაბის კოდექსი – ძველი ბაბილონური პერიოდის საკანონმდებლო კრებულია, რომლის ძირითადი ტექსტი აქადურ ენაზე ლურსმული წარწერის სახით შემოინახა. ტექსტი კონუსის მაგვარ დიორიტულ სტელაზეა ამოკვეთილი. ხამურაბის კანონები არსებული წესწყობილების დიდი რეფორმის შედეგია. ისტორიკოსები მას ძველი აღმოსავლეთის იურიდიული აზროვნების მწვერვალს უწოდებენ.

კანონების კითხვისას არ შეიძლება უცნაური განცდა არ დაგეუფლოს, სადაც ერთმანეთს ცვლის რამდენიმე სახის ემოცია: განცვიფრება, აღტაცება, სინანული; და მიუხედავად ქმედებისათვის დაწესებული სასჯელის უმკაცრესი ზომებისა, პატივისცემაც კი გიჩნდება იმ პიროვნებისადმი, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ძეგლი დაუტოვა კაცობრიობას. გაოცებას იწვევს იმ პერიოდში ურთიერთობების სამართლებრივად იმგვარი მოწესრიგება, რაც დღევანდელ კანონმდებლობაშიც აქტუალურია და მათი არსებობა ადამიანის უფლებების დაცვაზე მიუთითებს. მინდა, ხამურაბის კანონები ამ ჭრილში განვიხილო და გასაგებად მოვიტანო თქვენამდე ჩემი პოზიცია.

ხამურაბის კანონები შეიქმნა ბაბილონში, მეფე ხამურაბის მიერ, ძვ. წ მე-17 საუკუნეში. ხამურაბის (ჰამურაბი; ძვ. წ 1792-1750 წწ) რწმენით, ის ღმერთების მიერ იყო არჩეული მისი ხალხისთვის კანონების დასაწერად. **„ანუმ და ბელმა სახელით მომიხმეს მე, ჰამურაბი, ღვთისმოშიში, ამაღლებული უფლისწული, რათა ქვეყნისთვის მომეტანა ჭეშმარიტების მმართველობა“.**

კანონთა კრებული შედგება სამი ნაწილისგან: პრეამბულა, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. პრეამბულაში მოცემულია მონარქის ძალაუფლების რელიგიური და სამართლებრივი საფუძვლები და გადმოცემულია კანონთა კრებულის შექმნის მიზანი: **„ქვეყნად ბრწყინავდეს სამართლიანობა, რათა მოისპოს კანონდამრღვევნი და ბოროტმოქმედნი, რათა ძლიერმა არ შეავიწროვოს სუსტი“.**

ამ ძეგლის გულდასმით წაკითხვისას ვეცნობით ძველ შუამდინარეთში გაბატონებულ სო-

ციალურ და სამართლებრივ ურთიერთობებს; მოსახლეობის განსხვავებულ კატეგორიებად დაყოფის გამართლებას, გაბატონებული ფენების სამართლებრივი სტატუსის ხელშუხებლობას. თვალში საცემია სამართლის უძველესი წყაროს – ჩვეულებითი სამართლის ნორმების სავალდებულო ხასიათი, კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი, მკაცრი და ზოგჯერ სასტიკი სასჯელის სახეები. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ იმ პერიოდს და სოციალურ მდგომარეობას, რა დროშიც ეს კანონები იქნა მიღებული. თუმცა ჩემი ყურადღება აქ უფრო სხვა რამემ მიიპყრო.

დამეთანხმებით ალბათ, რომ სამართლიანობის პრინციპი ამ პერიოდისათის ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, თუმცა ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი კანონთა კოდექსში სასჯელის დაწესების წინაპირობად დანაშაულის დამტკიცებას მიიჩნევს:

„უკეთუ კაცმა კაცი დაასმინა, მკვლელობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, მისი დამსმენელი სიკვდილით უნდა დაისაჯოს (მუხლი N1)...

„უკეთუ კაცმა ანდა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა მონა ქალი, ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ვირი, ანდა სხვა რამ კაცის შვილისაგან ან კაცის მონისაგან მოწმეების ან საბუთის გარეშე იყიდა ან შესანახად მიიბარა, ეს კაცი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს“ (მუხლი N 7).

ეჭვგარეშეა, აღნიშნული, კანონმდებლის დახვეწილ სამართლებრივ აზროვნებაზე მიუთითებს. თუ გავაკადნიერდები და დღევანდელ კანონმდებლობასთან გავავლებ პარალელს, არავინ შეიძლება დაისაჯოს, თუ არ იქნება მის მიმართ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებანი. საინტერესოა ალბათ, რომ დღევანდელ იურისპრუდენციაში მოქმედებს სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვით თითოეული ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უდანაშაულოდაა მიჩნეული მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდება. უფრო მეტიც, ამ მხრივ, მეტად საინტერესოა კოდექსის მე-9 მუხლი, სადაც კანონმდებელი ორივე მხარეს აკისრებს მისი სიმართლის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ამას ვერ მოახერხებს, მის მიმართ შედეგიც შესაბამისი

დადგება **„...უკეთუ კაცს რაიმე დაეკარგა, დანაკარგი სხვა ვინმეს უნახა ხელში, ის კაცი კი, ვისაც დანაკარგი ხელში უნახეს, იტყვის, გამყიდველმა მომყიდა, მოწმეების თანდასწრებით ვიყიდეო“,** ხოლო დანაკარგის პატრონი იტყვის: **„ჩემი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს მოვიყვანო“, მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი და მოწმეები, რომელთა თანდასწრებითად იყიდა; ასევე დანაკარგის პატრონმაც უნდა მოიყვანოს თავის დანაკარგის მცნობელი მოწმეები. მოსამართლენი მათ საქმეს გამოიძიებენ, ყიდვაგაყიდვის მოწმეებმა და დანაკარგის მცნობელმა მოწმეებმა თავიანთი ცოდნა ღმერთის წინაშე უნდა აღიარონ და თუ გამყიდველი ქურდად ჩაითვლება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანაკარგის პატრონი თავის დანაკარგს დაიბრუნებს, ხოლო მყიდველი თავის მიერ მიწონილ ვერცხლს გამყიდველის სახლიდან წაიღებს.“**

არის თუ არა ეს მხარეთა შორის იმ შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენება, რომელიც დღევანდელ კანონმდებლობაში დემოკრატიის პრინციპის ერთ-ერთი ძირითადი გამოვლინებაა?

საინტერესოა, რომ მხარეთა შორის გარკვეულწილად ხელშკრულებები და გარიგებები იდება და კანონმდებელი ასეთი გარიგების ნამდვილობის ასაღიარებლად, ისევე როგორც დღვანდელ კანონმდებლობაში, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ხელშეკრულების და გარიგების დამდებ მხარეებს. **„უკეთუ შამალუ დაუდევრად მოიქცა და თამქარისთვის მიცემულ ვერცხლში საბუთი არ აიღო, უსაბუთო ვერცხლი ანგარიშში არ ჩაიგდება“ (მუხლი 105).**

კოდექსიდან ირკვევა, რომ ძველ ბაბილონში მოქმედებდა თანამედროვე პრინციპიც „ერთ საქმეზე ორჯერ გადაწყვეტილება არ გამოიტანება“. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი სასჯელის შეფარდებისას ხელმძღვანელობს პრინცით: **„სასჯელი დანაშაულის საფასურია“.**

კრებულის მიხედვით, მოწმის დასჯა ცრუ ჩვენების მიცემის გამო, აქტუალურია. აღნიშნული, დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობითაც დასჯადია, თუმცა რასაკვირველია, სასჯელის ზომები არ არის ისეთი მკაცრი და სასტიკი, როგორიც იმ დროს იყო: **„უკეთუ კაცი სასამართლოში დანაშაულის მოწმედ გამოვიდა და თავისი ნათქვამი ვერ დაამტკიცა, თუკი ეს სიცოცხლის საქმეა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, უკეთუ ხორბლის ანდა ვერცხლის საქმეზე გამოვიდა მოწმედ, ამ საქმის სასჯელი უნდა დაეკისროს“ (მუხლები 3,4).**

საყურადღებოა, რომ ე.წ. უნებლიე დანაშაული, კრებულის მიხედვით, ნაკლებად მკაცრად ისჯება, ვიდრე განზრახი. ამრიგად, ცოლის თანამონაწილეობა მეუღლის მკვლელობაში ისჯებოდა სიკვდილით, მაგრამ ოპერაციის დროს ექიმის მიერ პაციენტის უნებლიე მკვლელობა ისჯებოდა თითების მოჭრით (153, 218). დღეს მოქმედი კანონითაც ორივე შემთხვევაში სასჯელის ზომა განსხვავებულია.

საინტერესო და რიგ შემთხვევაში ამაღელვებელია კანონთა კრებულის ის თავი, რომელიც საოჯახო ურთიერთობებს აწესრიგებს. მემკვიდრეობის საკითხში კანონმდებლის მიერ შვილის ინტერესი დაცულია, მიუხედავად იმისა, ის თავისუფალი მოქალაქის თუ მონა ქალისგან იშვა. **„უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა და ცოლმა შვილები უშვა, ეს ქალი მოკვდა და მის შემდეგ კაცმა მეორე ცოლი მოიყვანა და მან შვილები შვა, მამის სიკვდილის შემდეგ შვილები დედების მიხედვით არ უნდა განიყვნენ, თითოეულმა თავისი დედის მზითვი უნდა მიიღოს, ხოლო მამის სახლის ქონება თანაბრად გაიყონ“.** ანდა **„თუ კაცს მეუღლისგანაც და მონა ქალისგანაც შვილები ეყოლა და მამამ სიცოცხლეშივე თქვა, მონა ქალის შვილებზე „ჩემები არიანო“ და მეუღლის შვილებს განუკუთვნა ისინი, მაშინ მამის სიკვდილის შემდეგ მეუღლისა და მონა ქა-**

ლის შვილებმა მამის სახლის ქონება თანაბრად უნდა გაიყონ“. (მუხლი 167) მინდა აქვე ავღნიშნო, რომ დღევანდელი კანონმდებლობაშიც მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს ამ საკითხს და იცავს კანონით პირველი რიგის მემკვიდრის, შვილის, ინტერესს. თუმცა, ჩემი განცვიფრება აქ არ დამთავრებულა. დიდი გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, კანონმდებელმა გაითვალისწინა უღირსი მემკვიდრის ინსიტუტი და მშობელს გარკვეულწილად მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის უფლება მისცა და რა თქმა უნდა, მხოლოდ სასამართლოს გზით. თუმცა მას, სასამართლოში ამ მოთხოვნის მტკიცების ტვირთიც დააკისრა: **„უკეთუ კაცი ვაჟის მოკვეთას განიზრახავს და მოსამართლეს ეტყვის „ვაჟი უნდა მოვიკვეთოო“, მოსამართლენი მის საქმეს გაარჩევენ და თუკი მემკვიდრეობისაგან მოსაკვეთს მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია, მამა თავის ვაჟს მემკვიდრეობისაგან ვერ მოკვეთს” (მუხლი 168).** ხოლო თუ მშობელმა შეძლო ამის დამტკიცება, **„მამას შეუძლია თავისი შვილი მემკვიდრეობისგან მოკვეთოს“(მუხლი 169).** კანონით მემკვიდრეობა ხდებოდა თითოეული ბავშვის (ვაჟებისა და ქალიშვილების) თანაბარი წილის მეშვეობით (თანხვედრა დღევანდელ კანონმდებლობასთან).

რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, აქვე იკვეთება შვილად აყვანის ინსტიტუტიც, რომელიც ჩემი აზრით, ასევე თანხვედრაშია თანამედროვე სამართალთან. ამ კანონის მიხედვით, შვილად აყვანის შემდეგ ნაშვილები კარგავს ბიოლოგიურ მშობლებთან და ნათესავებთან კავშირს: **„უკეთუ კაცმა უასაკო ბავშვი თავის სახელზე შვილად აიყვანა და გაზარდა, ეს მისი გაზრდილი უკან აღარ მოითხოვება“ (მუხლი 185).** ისევე, როგორც დღევანდელი მდგომარეობით საკანონმდებლო სისტემაში, ძველ ბაბილონშიც კანონდებელი მშვილებელს ნაშვილების მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს: **„უკეთუ კაცმა შვილად აყვანილი ბავშვი გაზარდა, თავისი სახლი ააშენა, მერე შვილები იყოლია და გაზრდილის მოკვეთა განიზრახა, ეს შვილი მისი სახლიდან ხელცარიელი არ უნდა წავიდეს. მამობილმა თავისი ქონებიდან მემკვიდრის მესამედი წილი უნდა მისცეს და ისე უნდა გაუშვას“ (მუხლი 191)**.

მართალია, ანდერძის არსებობა იმ პერიოდისათვის გამორიცხულია, მაგრამ ჩემი აზრით, გარკვეულწილად ანდერძის ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მუხლის შინაარსი: **„უკეთუ ქალქურუმს, ნადითს, ანდა სიქრსს მამამ ბეჭდიანი მზითვის საბუთი დაუწერა და მასში ჩაუწერა, რომ ქალს თავის ნებაზე შეუძლია მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების ნება მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ შეუძლია თავისი მემკვიდრეობა თვის ნებაზე გასცეს – ძმები ვერ გამოედავებიან“ (179-ე მუხლი).**

ალბათ გასაგები უნდა იყოს, რომ განსაკუთრებით გულდასმით გავეცანი ძველ ბაბილონში ქალის, როგორც სოციალურ, ისე სამართლებრივ მდგომარეობას. დამაინტერესა, არსებობდა თუ არა მაშინდელ კანონმდებლობაში სამართლის ის ნორმა, რომელიც ოჯახის შექმნასთან იყო დაკავშირებული და მას აწესრიგებდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო 128-ე მუხლმა: **„უკეთუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი“.** რა არის ეს მოთხოვნა? გავს თუ არა დღვანდელ კანონმდებლობით ოჯახის ქორწინების რეგისტრაციის სავადებულო მოთხოვნას? ჩემი

აზრით, ეს ასეა და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს კანონშემომქმედის დახვეწილ სამართლებრივ აზროვნებაზე. ძალიან საინტერესოა 152-ე მუხლი: **„უკეთუ მას შემდეგ, რაც ქალი კაცის სახლში შევა, ვალს დაიდებენ, თამქარის წინაშე ორივენი აგებენ პასუხს“.** კიდევ ერთხელ ისმევა კითხვა – არის თუ არა ეს თანამედროვე კანონმდებლობაში არსებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც ქორწინების განმავლობაში აღებულ ვალზე ორივე მეუღლე თანაბრად აგებს პასუხს? ჩემი აზრით კი, პასუხი აშკარა და ნათელია და ამასვე ადასტურებს ხამურაბის კანონების 151-ე მუხლი: **„...თუ კი კაცს ქალის მოყვანამდე ემართა ვალი, მისი მევალეები მის ცოლს ვერ დაიხუთავენ. თუ ამ ქალს ვიდრე კაცის სახლში შევიდოდა ვალი ემართა, ქალის მევალეები მის ქმარს ვერ დაიხუთავენ“.**

საინტერესოა, ხამურაბის მიერ, დღეს მოქმედი კანონით გათვალისწინებული სტიქიური უბედურების ან დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების პრინციპის გათვალისწინება. **„უკეთუ პირს ვინმეს ვალი მართებს. მიწა კი ადადმა დატბორა ან წყალდიდობამ წალეკა, ანდა გვალვის გამო მიწაზე ხორბალი არ მოუვიდა, ამ წელს ხორბალი შეძლია მევალეს არ დაუბრუნოს, ფირფიტა წაშალოს და ამ წელს სარგებელი არ გადაუხადოს“.**

რაც შეეხება დავაში მხარისათვის მტკიცების ტვირთის დაწესებას და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო არასახარბიელო შედეგის დადგომის საკითხს, აქტუალური იყო მაშინაც და თავის აქტუალურობას დღსაც არ კარგავს (მუხლი 122). „**უკეთუ კაცი ვერცხლს, ანდა ოქროს, ანდა სხვა რამ საქონელს შესანახად ვინმეს აბარებს, ყველაფერი, რასაც აბარებს, მოწმეებს უნდა აჩვენოს, ხელშეკრულება გაამზადოს და შესანახად ისე მიაბაროს, (მუხლი 123) უკეთუ მოწმეებისა ან ხელშეკრულების გარეშე მიაბარა შესანახად და სადაც მიაბარა, უარი უთხრეს, ამ საქმეს სარჩელი არ ექნება“.**

განა გაოცებას არ უნდა იწვევდეს ათასწლეულის წინ შედგენილი კანონით დავის შემთხვევაში სიმართლის დამტკიცებისათვის მტკიცებულებების წარდგენის მაღალი სტანდარტის მოთხოვნა?

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ კანონშემომქმედი ჩუქებით მიღებული ქონების მესაკუთრის ინტერესს იცავს ყველასგან, მათ შორის, შვილებისგანაც კი (მუხლი 150). **„უკეთუ კაცმა თავის ცოლს მიწა, ბაღი ან სხვა რამ საქონელი აჩუქა და ბეჭდიანი საბუთიც მისცა, ქმრის შემდეგ შვილები მას ვერ შეეცილებიან..“** აქ იმ ინდივიდუალურ საკუთრების ხელშეუხებლობაზეა საუბარი, რაც დღესაც მნიშნელოვნად დაცული და ხელშეუხებელია.

ალბათ გახსოვთ, დასაწყისში აღვნიშნე, რომ ამ კანონშემომქმედის მიმართ გარკვეულ პატივისცემას განვიცდი მისი სათანადო ნიჭისა და გამჭრიახობის გამო. უდავოდ გამჭრიახობის მანიშნებელია ე.წ „სავალო მონობის“ ინსტიტუტის მის სასარგებლოდ გამოყენების საფუძვლით კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებანი.

კანონის მიხედვით, ის, ვინც სავალო მონობაში ჩავარდებოდა, ვალდებული იყო მევალისთვის თავისი შრომით ვალი ორმაგად აენაზღაურებინა. ანუ, როგორც თავანი ისე პროცენტი და ამვდროულად თავის რჩენისათვის საჭირო პროდუქტის ღირებულება. ამ ეპოქის იურიდიული საბუთიდან ირკვევა, რომ სავალო მონობა ხშირად 30-50 წლით და ზოგჯერ მთელი სიცოცხლითაც განისაზღვრებოდა. ხამურაბმა სავალო მონობა სამი წლით განსაზღვრა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი კრედიტორს აუცილებლად უნდა გაეთავისუფლებინა მოვალე. აი, სწორედ აქ იკვეთება ხამურაბის გამჭრიახობა. გათავისუფლებული ადამიანი (რომელსაც აღარაფერი გააჩნდა) სამეფო კარს ეკედლებოდა: არამესაკუთრე და არასრულუფლებიანი მუშქენუმი (თაყვანისმცემელი მეფისა). ასეთი ადამიანები ავსებდნენ ჯარს, სამოხელეო აპარატს, რაც სახელმწიფო ძლიერებაზე დადებითად ისახებოდა. როგორც ჩანს, ხამურაბმა ეს წინამორბედზე (ლიფითიშტარი) უკეთ განჭვრიტა და ბევრად უკეთესი ფორმით, სასარგებლოდ გამოიყენა.

ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი: არსებობს სასამართლოს ინსტიტუტი. ორგანო, რომელიც საქმეს იხილავს და სასჯელს უფარდებს დამნაშავეს. აღნიშნულს აკეთებს მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე, რაც

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მეტად მნიშვნელოვანია, ცივილური სამყაროსათვისაა დამახასიათებელი და პასუხობს დღვანდელ მოთხოვნებსაც.

ამ შემთხვევისთვის განვიხილავ ისევ ხამურაბის კანონის 168-ე მუხლს, სადაც პირდაპირ მინიშნებაა მოსამართლის როლზე საქმის განხილვისას: **„...მოსამართლენი მის საქმეს გაარჩევენ და, თუკი ვაჟს მემკვიდრეობისგან მოსაკვეთი მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია, მამა თავის ვაჟს მემკვიდრეობისგან ვერ მოკვეთს“.** აქვე, მოსამართლეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, ხოლო ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, თუ მას აღნიშნული დაუდასტურდა, კანონმდებელი მოსამართლის მიმართ მკაცრ სასჯელს იყენებს და საქმიანობის გაგრძლების უფლებას ართმევს. **„უკუთუ მოსამართლემ სამართალი განსაჯა, განაჩენი გამოიტანა. ბეჭედი დასვა, ხოლო შემდგომ ამისა სამართალი შეცვალა, ამ მოსამართლეს სამართლის შეცვლაში ამხელენ: ამ საქმის სასჯელს თორმეტმაგად გადაიხდის და საკრებულოში თავისი სამოსამართელეო სავარძლიდან გადააყენებენ, უკან ვეღარ დაბრუნდება და მოსამართლეებთან ერთად სასამართლოში ვეღარ დაჯდება“ (მუხლი 5).**

დასასრულს მინდა მცირედი ანალიზი გავაკეთო. შემიძლია ვთქვა, რომ საუკუნეების წინ შექმნილ სამართლებრივ სისტემაში, კერძოდ ხამურაბის კანონებში იკვეთება უამრავი მაგალითი, რომელიც გარკვეულწილად მიგვანიშნებს ადამიანის უფლებების დაცვაზე. ამასთანავე, ამავე დოკუმენტებში გათვალისწინებულია ზნეობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში უმკაცრესი სასჯელი (მუხლი 154,155,157). გასაკვირი არცაა, რომ ხამურაბის მიერ შექმნილი კანონები ძველი მესოპოტამიის (შუამდინარეთი) ისტორიის განმავლობაში ითვლებოდა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე დოკუმენტად, რომელსაც სწავლობდნენ იურისტები. ამიტომაცაა, რომ ხამურაბის კანონები საფუძვლად დაედო შემდეგ შექმნილ კანონებს. ეპოქის გათვალისწინებით ხამურაბის კანონებში მოწესრიგებულია სამართლის არაერთი დარგი, რომელიც დღევადელ საკანონმდებლო სისტემაში არსებობს, რა თქმა უნდა, მეტად დახვეწილი და მორგებული დღევანდელ სამყაროზე. ზედმეტია იმ პერიოდისათვის დემოკრატიულობაზე საუბარი, მაგრამ ძველ ბაბილონისეულ სამართალში მოიძებნება ის დეტალები, რომლებიც ჩემი აზრით, მონაწილეობს კანონის უზენაესობის პრინციპის ჩამოყალიბებაში. ეს ელემენტები ის პატარა ნაპერწკალია, რომელიც ათასწლეულების შემდეგ გაიზარდა და იმ ნათელ მხარედ გადაიქცა, რასაც დღევანდელ ყოფაში ადამიანის უფლებების დაცვის შუქურად მოვიაზრებთ.

წერილიც & სიხარულიც

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსა და კონსულტანტებს თავიანთი საქმიანობით ადამიანთა ცხოვრების მიმართულების განსაზღვრა უწევთ. საბედნიეროდ, ხშირად ხდება, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება და ბედის ბორბალიც ჩვენი ბენეფიციარების სასარგებლოდ დატრიალდება ხოლმე და შესაბამისად, სამსახურში შემოსულ კორესპონდენციებში მადლიერი ბენეფიციარების წერილებიც ჩნდება.



Subject: სამადლობელი წერილი
From megi shubitidze
To info@legalaid.ge
Date 2020-07-14 22:15
Priority Normal

მოგმართავთ სამადლობელი წერილითა და მადლიერების გამოხატვით, თქვენი, კერძოდ, სამეგრელო-ფოთის ბიუროს სამსახურის მისამართით, ჩვენი ოჯახის სახელით კიდევ ერთხელ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამსახურის დირექტორს ქ.ნ ნათია ბოჯგუასა და ადვოკატ ქეთი გვაზავას, მაია დარასელიას, რომლებმაც განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინეს, დაგვიდგნენ გვერდში და პროფესიონალურად გვეხმარებიან ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად და ქონებრივ დავასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი ოჯახისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უფალი გფარავდეთ, გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში და ღმერთმა ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთებინოთ, როგორც ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ გამოიჩინეთ

როცა კანონი ხუმრობს

ტიბეტელ ბუდისტებს ეკრძალებათ რეინკარნაცია მთავრობის ნებართვის გარეშე.

ალაბამას ეკლესიაში აკრძალულია ხელოვნური ულვაშის ტარება, თუკი ის ხალხს სიცილის ხასიათზე დააყენებს.

თუკი გასათხოვარი ხარ, რამდენიც გინდა დალიე, მაგრამ გათხოვილს ბოლივიაში ეკრძალება ერთ ჭიქაზე მეტი ღვინის დალევა.

თუკი ტურინში (იტალია) დღეში სამჯერ არ ასეირნებ ძაღლს, 500 ევროთი დაჯარიმდები. დანაშაულად ითვლება ძაღლისთვის თმის შეღებვაც.

ალაბამაში აკრძალულია საახალწლო კონფეტის (გირლანდის) გასროლა და მიმობნევა.

თუკი ოკლაჰომაში ქალს არაპატიოსნად მოიხსენიებ და შესაბამის ზედსართავებს გამოიყენებ, 25-დან 500 დოლარამდე დაჯარიმდები. აქ კომუნიკაციის ყველა საშუალება იგულისხება, მათ შორის, ინტერნეტი და ტელეფონიც.

მხიარულად პროფესიაზე

ტერორისტების ჯგუფი შეიჭრა სასტუმროში, სადაც ადვოკატთა ასოციაციის სხდომა მიმდინარეობს. ტერორისტების ლიდერი აცხადებს:

– თუკი ყველა მოთხოვნას არ დაგვიკმაყოფილებთ, საათში თითო ადვოკატს გავათავისუფლებთ!

დიასახლისს, ბუღალტერს და ადვოკატს ეკითხებიან, რამდენია 2+2.

დიასახლისი პასუხობს: – ოთხი!

ბუღალტერი: – 3 ან 4. ბალანსს გადავხედავ.

ადვოკატი მიიხედ-მოიხედავს და ხმადაბლა კითხულობს:– რამდენი გინდათ, რომ იყოს?

ფოსტაში მამაკაცი კონვერტს აწერს: „ჩემო სიყვარულო“ და აგზავნის. როცა ათასი ცალი უკვე გააგზავნა და ყველა სხვადასხვა მისამართზე, იქ მომუშავე გოგონას ცნობისმოყვარეობამ სძლია:– რატომ აკეთებთ ამას?

– ოჯახური დავები ჩემი სფეროა, ადვოკატი ვარ – მიუგო კმაყოფილმა.

კლიენტმა ახალთახალი ასდოლარიანი კუპიურა მიაწოდა ადვოკატს და წავიდა. სულ მალე ადვოკატმა აღმოაჩინა, რომ ამ კუპიურას კიდევ ერთი ასდოლარიანი მიწებებოდა. ადვოკატი ძველთაძველი დილემის წინაშე აღმოჩნდა: აეღო მეორე კუპიურაც თუ ის თავისი თანაშემწისთვის გაეანაწილებინა?

CONTACT

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცხელი ხაზი

დარეკეთ:
1485 ან
292 0055

უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებსა და საათებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებში:

თბილისი
სულხან კომახიძე / საკონტაკთო პირი
თამარ მეფის გამზ. №14, 0112,
+995 (32) 2954474; 2920055;
+995 (595) 364410
skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა
ალუდა ბუჩუკური
დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელეფონი: +995 (32) 2513873
მობილური: +995 (595) 901705
abuchukuri@legalaid.ge

თელავი
ლიანა ჭუნიაშვილი
ვარდოშვილის ქ. №7
+995 (350) 271538
+995 (595) 901707
ltchuniashvili@legalaid.ge

სიღნაღი
თამაზ გურაშვილი
აღმაშენებლის ქ. №7
+995 (355) 231082
+995 (599) 937973
tgurashvili@legalaid.ge

რუსთავი
მაია ნოზაძე
ბოსტანქალაქის ქ. №6,
+995 (341) 241425
+995 (595) 901706
mnozadze@legalaid.ge

გორი
გიორგი ჯეირანაშვილი
სამეფოს ქ. №54
+995 (370) 279556
+995 (595) 901704
gjeiranashvili@legalaid.ge

ახალციხე
დავით ზარიძე
თაბუკაშვილის ქ.№17
+995 (362) 220735
+995 (599) 722176
dzaridze@legalaid.ge

ზესტაფონი
გელა ბერაძე
წერეთლის ქ. №11
+995 (492) 253637
+995 (595) 364441
gberadze@legalaid.ge

ქუთაისი
გელა სიორდია
სადგურის მოედანი №3ა
+995 (431) 253411; 253412
+995 (595) 901700
gsiordia@legalaid.ge

ზუგდიდი
რომან კეიდია
კოსტავას ქ. №24
+995 (415) 220040
+995 (595) 901702
rkeidia@legalaid.ge

ფოთი
ნათია ბოჯგუა
ვახტანგ გორგასლის ქ. №22
+995 (493) 223234
+995 (595) 901703
nbodjgua@legalaid.ge

ბათუმი
იამზე ზანდარაძე
პუშკინის №145
+995 (595) 901701
izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთი
იამზე მემარნიშვილი
ილია ჭავჭავაძის ქ. №12
+995 (496) 275992
+995 (595) 308850
imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაური
თეა ჩიკვაიძე
აღმაშენებლის ქ. №24
+995 (595) 308847
tchikvaidze@legalaid.ge

მესტია
ავთანდილ ჯაფარიძე
სეტის მოედანი №19
+995 (551) 201947;
+995 (599) 294477
ajaparidze@legalaid.ge

საჩხერე
სალომე გიორგაძე
თავისუფლების ქ.№4
+995 (558) 194637
sgiorgiadze@legalaid.ge

ახალქალაქი
ინგა გვარამაძე
თამარ მეფის №44
+995 (599)358585
igvaramadze@legalaid.ge

წალკა
დავით გოგიჩაიშვილი
არისტოტელეს №22
+995 (599) 090091
dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეული
ლალი ალუდაური
რუსთაველის №73
+995 (551) 424400
laludauri@legalaid.ge

დუისი
ნუნუ გელდიაშვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის
სოფელი დუისი
+995 (599) 161076
ngeldiashvili@legalaid.ge

შუახევი
ირინა ცინცაძე
დაბა შუახევი,
ხიმშიაშვილის ქ №2
+995 (577) 420943
itsintsadze@legalaid.ge

ცაგერი
ნინო ურთმელიძე
რუსთაველის ქუჩა №65
+995 (595) 097660
nurtmelidze@legalaid.ge

ჭიათურა
სალომე გიორგაძე
ნინოშვილის ქუჩა #5
+995 (558) 194637
sgiorgadze@legalaid.ge

ლაგოდეხი
გიორგი ევსტაფიშვილი
მერაბ კოსტავას ქუჩა №1
+995 (557) 750 374
gevstapishvili@legalaid.ge

დუშეთი
ირინა ბარბაქაძე
დავით აღმაშენებლის ქუჩა №27
+995 (595) 337 177
ibarbakadze@legalaid.ge

დმანისი
ლალი ალუდაური
წმინდა ნინოს ქუჩა №39
+995 (551) 424 400
laludauri@legalaid.ge

ყვარელი
მერი ხაჩიძე
კუდიგორის ქუჩა №2
+995 (595) 901 753
mkhachidze@legalaid.ge

ბაღდათი
მაია ხვადაგიანი
შოთა რუსთველის ქ.№21
+995 (595) 901 722
mkhvadagiani@legalaid.ge

წყალტუბო
მაია ხვადაგიანი
შოთა რუსთველის ქ. №25
+995 595 901 722;
mkhvadagiani@legalaid.ge

ხულო
ირინა ცინცაძე
დავით აღმაშენებლის ქ. №3
+995 555 250 247;
tsintsadze@legalaid.ge

ქედა
ირინა ცინცაძე
26 მაისის ქ. №2
+995 555 253 274;
itsinstadze@legalaid.ge

ქობულეთი
ინგა ყიფიანი
თავისუფლების ქ. №13;
+995 555 253 274;
ikipiani@legalaid.ge

აბაშა
მაია რობაქიძე
უჩა კაჭარავას ქ.№1
+995 599 98 42 99;
mrobakidze@legalaid.ge

მარტვილი
მაია რობაქიძე
თავისუფლების ქ №.10
+995 599 98 42 99;
mrobakidze@legalaid.ge

ჩხოროწყუ
ნინო მინჯია
დავით აღმაშენებლის ქ №1
+995 595 901 724;
nminjia@legalaid.ge

წალენჯიხა
ნინო მინჯია
სალიას ქ №5
+995 595 901 724;
nminjia@legalaid.ge

სენაკი
მაია რობაქიძე
აკაკი წერეთლის ქ №1
+995 599 98 42 99;
mrobakidze@legalaid.ge

ხობი
სალომე ჯანჯღავა
ცოტნე დადიანის ქ №185
+995 591 911 304;
sjanjgava@legalaid.ge

დედოფლისწყარო
გიორგი ევსტაფიშვილი
მ.კოსტავას ქ. №.44
+995 (557) 750 374
gevstapishvili@legalaid.ge

ახმეტა
ნუნუ გელდიაშვილი
ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №. 50
+995 (599) 161076
ngeldiashvili@legalaid.ge

ლენტეხი
ნინო ურთმელიძე
თამარ მეფის ქ. №. 24
+995 (595) 09 76 60
nurtmelidze@legalaid.ge

ონი
თეა ჩიკვაიძე
სოფ. შეუბანი
+995 595 30 88 47
tchikvaidze@legalaid.ge

ხაშური
მანანა გელაშვილი
9 აპრილის ქ. №.11
+995 598 60 90 34
mgelashvili@legalaid.ge

www.legalaid.ge

იურიდიული
დახმარების
სამსახური